

იგორ ბაუერსიმა

Norway.Today

დღეს ნორვეგიაში

იგორ ბაშენსიმა

დაიბადა 1964 წელს პრაღაში და ვაიზარდა შვეიცარიაში.

1989 წლიდან ის თავისუფალი არქიტექტორი, მუსიკოსი, თეატრის მხატვარი,

თეატრისა და კინოს რეჟისორია.

1993 წელს მან ციურისში მეგობრებთან ერთად დაარსა თავისუფალი თეატრალური ჯგუფი OFF OFF Bühne.

2001 წელს მისი პიესა norway.today მიულპაიმისა თეატრალურ დღეებზე იყო მიწვეული და საუკეთესო ახალგაზრდა აკტორიად დასახელდა.

პიესა მსოფლიოს მასშტაბით 100 თეატრში დაიდგა და 16-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

იგორ ბაშენსიმა გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში მოღვაწეობს.

ის ციურისში ცხოვრობს.



Wouldn't it be nice if we were older
Then we wouldn't have to wait so long
And wouldn't it be nice to live together
In the kind of world where we belong
You know its gonna make it that much better
When we can say goodnight and stay together
Wouldn't it be nice if we could wake up
In the morning when the day is new
And after having spent the day together
Hold each other close the whole night through
Happy times together we've been spending
I wish that every kiss was neverending
Wouldn't it be nice
Maybe if we think and wish and hope and pray
it might come true
Baby then there wouldn't be a single thing we couldn't do
We could be married
And then we'd be happy
Wouldn't it be nice
You know it seems the more we talk about it
It only makes it worse to live without it
But let's talk about it
Wouldn't it be nice
Good night my baby
Sleep tight my baby

Wouldn't it be nice

Brian Wilson/Tony Asher

ჰერმი ოდნავ გაიხმის NURSE WITH WOUND-ის "see you in another world". სიჩუმეა. ყრუ შიშინი.

**შემოდის იული. ტანზე აცვია მაისური ნარწერით
julie@home.shirt**

იული: გამარჯობა, მე იული ვარ. ეს ჩემი პირველი სიტყვებია ამ ინტერნეტ-ფორუმზე, ამიტომ ბოდის ვიხდი, თუ ჩემი შეტყობინება უადგილო აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ჩემი შეტყობინება იმ ხალხისათვისაა განკუთხნილი, ვისაც თავის მოევლა განუზრახავს, ასე რომ, ვინც ცხოვრების დატოვებას არ აპირებს, გთხოვთ, ყურადღებას ნულარ მომაქცევთ და იქნებ სულაც ცოტა ხნით დატოვოთ ეს ფორუმი.

--

იული: მე მაღე თავს შოვიკლავ. ეს უეცარი გადაწყვეტილება არ არის, დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ და გადაწყვეტილება მიღებული მაქვს. მართალია, ზოგისთვის შეიძლება ცოტა უცნაურად უღერდეს, მაგრამ მინდა, ვინმესთან ერთად გავაკეთო ეს. ამიტომ ვსვამ კითხვას: გსურთ ვინმეს ჩემთან ერთად სიკვდილი? აუცილებელი არ არის, ახლავი გამცეთ პასუხი. სავსებით გასაგებია ჩემთვის, თუკი არავის უნდა საჯაროდ აღიაროს, რომ ყელში ამოუვიდა ყველაფერი. იქნებ სულაც თქვენი ცხოვრების ამჟამინდელი თანამგზავრი გყავთ გვერდით, მას კი არაფერი აქვს სანინააღმდეგო, ეიდევ ცოტა ხახს აჩანავოს დედამინის რესურსები და ელოდოს, სანამ კიბო ან რამე სხვა უბედურება არ გააქრობს დედამინიდან. მაგრამ, არ მინდა ცუდი განწყობა შემოვიტანო. Smile. იმის თქმა მინდა, რომ როგორც წესი ნასვლის მსურველს დანარჩენებთან ბევრი რამ აქავშირებს ხოლმე. ბევრნი არ არიან ისეთები, ვინც სიცოცხლის უმაღლესი აქტის არსს აცნობიერებენ, ანუ იმას, თუ რას ნიშნავს "ამ ქვეყნიდან თავის გარიდება", ადამიანის ლირსებისათვის. როგორც წესი, მანამ

გინდა იცოცხელო, სანამ მიხვდები, რომ ყველა წავიდა, და სულ მარტო დარჩი, და საერთოდაც ყოველთვის მარტო იყავი. ერთ-ერთი ჩვენგანი, ცხადია, ყველა დანარჩენზე მეტხანს იცოცხელებს და ეს სიკვდილზე უფრო ნაღდია, მაგრამ მე აქ განხეთქილების დათესვა არ მინდა. პირიქით, ნორმას ხომ ისინი წარმოადგენენ, ვინც ყველაფერს ჯერ კიდევ სერიოზულად ალიქვამს. ანუ, ადამიანთა უმეტესობა ხომ რაღაც შინაარსებით აღსავსე, სიცოცხლისმოყვარე იდეა-ფიქსებით არის შეპყრობილი: ემოციური კავშირებით, პასუხისმგებლობის გრძნობით, ასე არ არის? წარმატების წყურვილით, გამრავლებისკენ სწრაფვით, სიამოვნების მიღების ჟინით და სხვა რეაქციული მოთხოვნილებებით. თუმცა თქვენ ყველანი აქ იმიტომ ხართ, რომ ცხოვრების დატოვება გინდათ, ადრე თუ გვიან. თუ ეს ხუმრობა არ იყო, მაშინ ჩვენიანებში ვართ, არა? ხო, კი. ასე რომ...

--

• იული:

ხო. მოელედ, ყველა სერიოზულ წინადადებას სიამოვნებით მიეღიდებ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მეილიც გამომიგზავნოთ და ისე მოვაგვარებთ ამ ყველაფერს. Smile.

--

• იული:

ხალხო, შეიძლება უკეე შენიშნეთ კიდეც, ადამიანებს შორის არ არის. ჩემი ადგილი, ცხოვრებამობეზრებულებს შორისაც კი. სამნუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ასეა. საზოგადოებაში თავს კარგად ვერ ვგრძნობ, და ეს სხვების ბრალი იმდენად არაა, რამდენადაც იმის, რომ მე თვითონ ვერ წარმოვაჩინ თავს ისე როგორც მინდა. რაღაც როლის თამაშის აუცილებლობა და ჩემი შინაგანი ანტიპათია ამის მიმართ ნებისმიერ საზოგადოებას აუტანელს ხდის ჩემთვის; მხოლოდ ჩემს თავათან მარტო დარჩენილს შემიძლია ვიგრძნო თავი ბედნიერად, რადგან მხოლოდ ასე შემიძლია ვიყო აბსოლუტურად ნამდვილი.

ადამიანებს შორის ეს არავის შეუძლია და არც არავინ
არის..

--

იული: ასე რომ, ცუდად ნუ გამიგებთ – ახლა ისე მოვიქცევი
თითქოს თქვენ აქ არ ხართ.

შემოდის აუგუსტი. ტანზე აცვია მაისური ნარნერით
august@home.shirt

ავგუსტი: მოკლედ, თუ არავის არაფრის თქმა არ გინდათ, მაშინ
მე ვიტყვი რამეს. თორემ.. მაშ ასე, აუგუსტი მქვია და..
ოღონდ ნუ მკითხავთ, რატომ არ ეიცი, აქ მე არაფერ
შუაში ვარ.

--

ავგუსტი: .. საერთოდ, ვერასოდეს ვახერხებდი იმის ნარმოდგენას,
რომ ცხოვრებასთან რამე მქონოდა საერთო. აი,
ზოგადად. არ ვიცი, სხვებსაც იგივე აწუხებთ თუ არა,
მაგრამ მათი უმეტესობა, ვინც ცხოვრებაში გვხვდება,
ისეთი შერეკილია, ისეთი... სასაცილო კი არა, უბრალოდ
შერეკილი. მაგალითად, არის ხოლმე წუთები, როცა
მარტო ვარ, ჩემთვის მივრბივარ და ჩემი სუნთქვა და
ნაბიჯები მესმის, სისხლი მაგრად მიფეთქავს ყურებში,
მაგრამ ყოველთვის ხომ არ მივრბივარ. სამწუხაროდ, არ
გამოდის მუდმივად სირბილი. მიზანი ის არის, თითქმის
არ იყო, ანუ არსად იყო. ყველგან არყოფნა – ეს არის
მიზანი. აი, ეს ნიშნავს - იყო ცოცხალი..ასე, თითქმის
რომ არ ხარ, კიდევ შეიძლება, ცოტა ხანი გაუძლო
ცხოვრებას. როცა სადღაც იქვე ხარ, მაგრამ არა
შუაგულ ცხოვრებაში. თორემ, როცა ვიღაც მთლიანად
არის “გადაშვებული ცხოვრების მორევში”, თავს
დავდებ, ყალბ დეგენერატონ გვაქეს საქმე.

--

ავგუსტი: მაგრამ, საქმე ისაა, რომ ძირითადად ყველაფერი
მიჩუმებულია, მეც ჩუმად ვარ და ჩამიჩუმი არ ისმის.

--

ავგუსტი: მხოლოდ რაღაც გაურკვეველი ხმაური. არ ვიცი, სხვებსაც ასე ემართებათ თუ არა, როგორც ვთქვი. აზრზე არ ვარ. შეიძლება ავად ვარ, მაგრამ ამის მოსმენა ხომ საერთოდ არ შემიძლია – “შვილო, შენ ავად ხარ”. იმის თქმა მინდა, რომ ვიღაც დაცენტრილი ტიპი გამოგეცხადება და იდიოტური ღიმილით გეუბნება: “უნდა გამოჯანმრთელდეთ, აი ნახავთ მერე..”, იქ უკვე ცუდად ვხდები. ვინ არის ეს საოცრად შერეეილი ხალხი, რომლებიც გიცხადებენ: “რაზეც შენ ფიქრობ, რომ ასეა, ასე არ არის. ყველაფერი ისეა, როგორც ჩემ ვფიქრობთ, რომ არის.” გესმით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ. რასაც მე ვფიქრობ, რომ ასეა, ასე რომ არ არის, ეს მე თვითონაც ვიცი, მაგრამ საიდან იცის ვიღაცამ, რომ როგორც ის ფიქრობს, ისეა. ეს ყველაფერი ხომ უზარმაზარი ტყუილია, ყველაფერი თვალთმაქცობაა. ყველა თავს აჩვენებს, ვითომ რაღაცას ნარმოადგენს და სინამდვილეში კი არავინაც არ არის. ამის შერე საიდან უნდა იცოდეს ვინმებ, რა როგორ არის. არაფერიც არ არის. ყველაზე ნამდვილი განცდა, რაც კი შეიძლება გამიჩნდეს, არაფრის განცდაა. აი, მაგალითად, რომ ავდგი და ამ სკამით მაღლა ავიდე, აი ასე... ის მაღლა ავა. კარგი, ავიდა, მაგრამ მაინც რაღაც უცნაური გაურკვევლობა დასიამაშებს ამ ყველაფერს. მე არ ვიცი, ნამდვილად ავიდა მაღლა თუ მხოლოდ თავი შოგვაჩვენა ასე. და ხაერთოდ, ნამდვილად მართლა ხამდვილს ნიშნავს? შემდეგ ქვევით რომ ჩამოვუშვა, ის ალბათ... ხო, ეი, ჩამოდის ქვევით, მაგრამ – და საქმეც სწორედ ამაშია – სავარაუდოდ, ის მარტო თავს გვაჩვენებს, თითქოს ჩამოვიდა ჩეენს დასაწყნარებლად. ყველაფერი მოჩვენებითია, ყველა ფეხის ხაბიჯზე ანყდები ამ არაფერს. ამ ფორუმზე შიგადაშიგ არის ხოლმე ვიღაცა, ვინც რამე საწინააღმდეგოს იტყვის, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა, იუზერთა უმეტესობა აქაურობას გარედან ადგვნებს თვალყურს და დროდადრო საკუთარ თავს ჩქმეტს, რომ სიცოცხლის ელემენტარული ილუზია შეიქმნას. ფეხების გაფშევის მაინც ყველას ეშინია. ურჩევნიათ, ცოტაც მოიცადონ,

იქნებ მოხდეს რამე ნამდვილი. აქ ნამდვილი არაფერი ხდება. აი, წარმოიდგინეთ, ყველანი იულისთან ერთად რომ წავსულიყავით! სულყველანი! აი, ეს იქნებოდა ნამდვილი! ყველანი ერთმანეთს გადავუტრიდით ვენებს.

--

ავგუსტი: თქვენც ხომ იმიტომ ხართ აქ ყველანი, რომ ყელში გაქვთ ამოსული ყველაფერი. ეს დიდი პოტენციალია, აი, ეს რაღაცის დასაწყისად გამოდგებოდა. აქ მთელ მიმდინარეობას შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი.

--

ავგუსტი: სწორედაც დრო იყო უკვე, რომ ვინმეს გამოემუდავნებინა თავი. მომწონს, აი, იულიმ თქვა, “წავედიო”.

იული: გმადლობო.

ავგუსტი: ამას ტყუილად არ ვამბობ.

იული: რა თქმა უნდა.

ავგუსტი: სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო აქაურობას.

იული: გასაგებია.

--

იული: ეს ირონიულად თქვი?

ავგუსტი: რა?

იული: სიცოცხლის ნიშანწყალი.

ავგუსტი: არა, ხო. არა! ამით უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ აჯ არაფერი არ ხდება.

იული: ხო, შეიძლება.

ავგუსტი: ისეთი სიწნარეა, რომ მართლა ვერ გაიგებ, ვინ არის საერთოდ შემოსული და უცებ “აბა, წავედიო”, ვიღაც რომ გამოაცხადებს, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ აქ ვიღაც შაინც იყო.

იული: Users come, users go.

--

იული: მე ჯერ კადეც აქ ვარ.

- ავგუსტი:** დიახ.
- იული:** და როგორც ჩანს, შენც.
- ავგუსტი:** დიახ, დიახ. ესე იგი, შენ გინდა მოკვდე, არა?
- იული:** უნდა მოკვდე. დიახ.
- ავგუსტი:** მეც ვაპირებ.
- იული:** ხომ?
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** მოიცა, მალე?
- ავგუსტი:** კი.
- იული:** სერიოზულად?
- ავგუსტი:** როგორ?
- იული:** ანუ, მართლა?
- ავგუსტი:** რა მართლა?
- იული:** მართლა გინდა კავშირის გაწყვეტა?
- ავგუსტი:** კავშირის?
- იული:** ცხოვრებასთან, რა.
- ავგუსტი:** კი, რა თქმა უნდა. როგორც უკვე ვამბობდი, ჩემს შემთხვევაში ბევრი არც არაფერია, რასთანაც შეიძლება კავშირი გაწყვიტო.
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** ამ სიყალბეს დაუნანებლად მივატოვებ. თუ საჭიროა, დღეს საღამოსვე.
- იული:** ხო, მაგრამ, აქ ყოფნა ხომ არ არის ნამდვილი. აქედან ნასვლაც არ იქნება ნამდვილი ნასვლა.
- ავგუსტი:** კი, რა თქმა უნდა.
- იული:** ნამდვილ ნასვლას ვვულისხმობ.
- ავგუსტი:** და არა ჩეტიდან გამოსვლას ან ჩაძინებას, ან რამე მსგავსს.
- იული:** ზუსტად.
- ავგუსტი:** მაგას ვაპირებ.
- იული:** შენ ავად ხარ ან რამე ეგეთი?
- ავგუსტი:** არა. ხო, არ ვიცი. ხო გეუბნები...

იული: მე არ ვარ ავად.

ავგუსტი: აპა. ხოო. ჰე-ჰე.

--

იული: მომისმინე, მე აქ დიდხანს არ ვაპირებ ჩეტ-შოუს გამართვას. მეჩქარება, როგორც უკვე ვთქვი.

--

ავგუსტი: მითხარი, ერთი, როგორ გამოიყურები?

იული: რას ჰქვია, როგორ გამოვიყურები?

ავგუსტი: როგორ გამოიყურები, მითხარი.

იული: ნატალი ვუდივით. როგორც ნატალი ვუდი დახრჩობის წინ.

ავგუსტი: ნატალი ვუდი ვინ არის?

იული: მსახიობია. დაიხრჩო.

ავგუსტი: აა.

--

ავგუსტი: აღნერე, აბა, როგორ გამოიყურებოდა.

იული: მუქი ფერის თმები.

ავგუსტი: ეგ მომწონს.

იული: ადამიანების 90 პროცენტს მუქი ფერის თმა აქვს.

ავგუსტი: ხო? ხო. ეგ მომწონს

იული: „ვუდი დახრჩობამდე“ არის ფსიქიური მდგომარეობა. ვუდი „უმიზეზო მეამბოხე“ –ში¹ თამაშობდა. ამის გარდა არავინ არაფერი იცის, და მით უმეტეს ის, როგორ გამოიყურებოდა მაშინ, დახრჩობის წინ და თუ ეს ვინმებ იცის, ესე იგი, დახრჩობაში შეუწყვია მისთვის ხელი. მე კიდე აქ რასაც მინდა იმას განვაცხადებ. ნატალი ვუდი დაწყევლილი ვარსკვლავია, მისი სიკვდილი კი გამოცანაა.

ავგუსტი: დარწმუნებული ვარ, ეარგად გამოიყურებოდა, დახრჩობის წინ. წარმომიდგენია, რა აუტანელი ცხოვრება ექნებოდა, როგორც მსახიობს და რამე. ყველგან და ყოველთვის სრული სიყალბე. ყალბი კედლები, ყალბი იატაკები, ყალბი ადამიანები, არაფერია ნამდვილი, მუდმივად ვიღაც გკარნახობს, რა გააკეთო. ვინ გაუძლებს ამას. მთქნარებისგან მოკვდები. ალბათ შვებით ამოისუნთქა, როცა გააცნობიერა, რომ იხრჩობოდა. როგორც მსახიობი და რამე.. ანუ, იმის თქმა მინდა... არა, მართლა. არის ამაში რაღაც თავისუფლების მომნიჭებელი.

იული: ხო.

ავგუსტი: დიახ. მავრამ, მაინცდამაინც დახრჩობაც არ მინდა.

იული: არა, არ არის აუცილებელი.

ავგუსტი: მისმინე, როგორ აპირებ ამის გაკეთებას?

იული: ეინმესთან ერთად.

ავგუსტი: კი, მაგრამ როგორ?

იული: აქ ვერ გეტყვი. მხოლოდ "იმ შემთხვევაში, თუ.." აქ დარწმუნებული ვარ, ვინმე კეთილისმოსურნე ადამიანები იქნებიან ჩასაფრებული, რომლებსაც არაფერი ურჩევნიათ ვიღაცის ან რაღაცის გადარჩენას. ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ყველაფერი სიკუდილზე უფრო ნაღდია. უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს.

ავგუსტი: მაშინ, მე წამიყვანე.

იული: რამდენი წლის ხარ?

ავგუსტი: სულ ერთი არ არის?

იული: კი.

ავგუსტი: ხომ გეუბნები.

იული: ხოდა, რამდენი წლის ხარ?

ავგუსტი: ცხრამეტის.

იული: დაივიწყე.

ავგუსტი: რა იყო?

იული: არ ვაპირებ დამწყების ჩათრევას.

- ავგუსტი:** მე არ ვარ დამწყები.
- იული:** რა, მოგიკლავს როდისმე თავი? ანუ, გიცდია როდისმე?
- ავგუსტი:** არა. კი. რა თქმა უნდა.
- იული:** მერე?
- ავგუსტი:** მერე – ჯერ არ გამომსვლია.
- იული:** ესე იგი, დამწყები ხარ.
- ავგუსტი:** მოიცა, შენც ცოცხალი არ ხარ?
- იული:** დიახ. მე ჯერ არც მიცდია. არც უცდი, პირდაპირ გავაკეთებ ამას. არ შემიძლია, ვითომ რომ ცდილობენ და მერე უნდათ, თავი შეგაცოდონ.
- ავგუსტი:** ერთი წუთით! მე გულწრფელი მცდელობები მქონდა. სახეზე ნაიარევიც მაქვს. სანოლიდან გადმოვარდი, ახალდაბადებული. გადმოვხტი. ჩემი პირველი რეფლექსი ეს იყო. რაც თავი მახსოვს, თავის მოკვლაზე ვფიქრობ. სერიოზულად. მაგალითად მოტოციკლეტით მინდოდა ხიდის ჯებირს შევსკდომოდი, რომ უბედური შემთხვევის სახე ჰქონდა და არაეს დაეწყო თავის დადანაშაულება.
- იული:** მერე?
- ავგუსტი:** რა მერე?
- იული:** რითი დასრულდა ჯებირის ისტორია?
- ავგუსტი:** ეგ მხოლოდ ერთ-ერთი თეორია იყო. შესაძლო ვარიანტი. რა ვიცი. მართვის მოწმობაც კი არ მაქვს.
- იული:** ეს ნალდია.
- ავგუსტი:** ვიცი. ვგრძნობ, შენ გატყობ ამას.
- იული:** რას?
- ავგუსტი:** რომ ეს ნამდვილი იქნება.
- იული:** ნამდვილად?
- ავგუსტი:** ხო, ნამდვილად.

--

- ავგუსტი:** აქ ხარ?
- იული:** კი. გაქვს შენი სურათი?

- ავგუსტი:** სურათი? რა სურათი?
- იული:** სურათი, რა. რომლის ნახვაც შეიძლება.
- ავგუსტი:** კი.
- იული:** მაჩვენე, აბა.

--

- იული:** ეს შენ ხარ?
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** აი, ამის მეშინოდა.
- ავგუსტი:** რისი?
- იული:** რომ კარგად გამოიყურები.
- ავგუსტი:** როგორ?
- იული:** ქალებისგან განებივრებული იქნები, ალბათ.
- ავგუსტი:** რა სისულელეა. აბა, შენი მაჩვენე.
- იული:** აი.
- ავგუსტი:** მართლა?
- იული:** რა იყო?
- ავგუსტი:** მშვენიერია.
- იული:** გმადლობთ.

--

- ავგუსტი:** შენთან ერთად მინდა წამოვიდე.
- იული:** მოიცადე. ერთ კითხვას დაგისუეამ. თუ სწორად მიპასუხებ, შეიძლება დავთიქრდე.
- ავგუსტი:** ამას ეხლა სერიოზულად ამბობ?
- იული:** კი მაგრამ, მე ხომ არ გიცნობ. იქნებ ავადმყოფი ხარ ვიღაცა.
- ავგუსტი:** ხო, smile.
- იული:** ასეთი ხარ?
- ავგუსტი:** არა. Smile.
- იული:** კარგი, თუ დანარჩენებსაც გინდათ, შეგიძლიათ სცადოთ გამოცნობა. მოქლელ, მზად ხარ? გონება. რა არის

გონება?

ავგუსტი: რაა?

იული: დიახ.

ავგუსტი: დიახ?

იული: ეს არის ჩემი შეკითხვა. ნუ აჩქარდები.

ავგუსტი: გონება? რა არის გონება? გონება ავადმყოფობაა, რა ცოდნა უნდა ამას.

--

იული: სულ ეს არის?

ავგუსტი: არ ვიცი.

იული: სხვამ ხომ არ იცის ვინმემ რამე? არა? წარმოდგენა არ გვაქვს? პა, საღი აზრი, გონება!

ავგუსტი: ხო, არ ვიცი. ქველასთვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. აი, მაგალითად, ჩემთვის საღი აზრია თავის მოკვლა, სხვისთვის —არა. ხომ იყო ერთი ფილოსოფოსი, მაგალითად. თავი არ მოუკლავს, მაგრამ დაადგინა, რომ თვალები იმისთვის გვაქვს, რომ ვერაფერი დავინახოთ, ხოლო ყურები კი იმისთვის, რომ ვერაფერი გავიგონოთ. რა ერქვა? მოკლედ, ას ამბობდა, რომ გონება სწორედ ამ თეალებს ეყრდნობა, რომლებიც ერ ხედავუნ, და ყურებს, რომლებსაც არაფერი ესმით. და ამიტომ, გონება ირაციონალური ცნებააო. საკმაოდ ცნობილი ფილოსოფოსია. ერთ-ერთი უდიდესთაგანი იყო. აზრზე არ ვარ....რაღაც ურქვა...

იული: თუ გინდა, წამოდი ჩემთან ერთად.

--

იული: რა იყო?

ავგუსტი: კარგი.

იული: კარგი, ანუ მომყვები? ერთად ვაკეთებთ ამას?

ავგუსტი: ხო!

იული: არა, მართლა, მინდა ვიცოდე.

ავგუსტი: ხო.

--

იული: ნამდვილად გინდა?

ავგუსტი: ეი.

იული: სერიოზულად, სისულელების გარეშე?

ავგუსტი: ხო.

იული: აბსოლუტურად სერიოზულად!

ავგუსტი: უსერიოზულესად!

იული: ახლა წესით ბედნიერი უნდა ვიყო, არა?

ავგუსტი: არ ვიცი.

იული: ხო, ახლა მგონი ბედნიერი ვარ, ამ წუთას.

იული: ერთ რამეს უნდა შემპირდე.

ავგუსტი: რას?

იული: უნდა შემპირდე, რომ არავის მოუყვები ამის
შესახებ. არც შენს მშობლებს, არც მეგობრებს, არც
შეყვარებულს, არავის. ჩვენ წავალთ და არავის ვეტყვით,
საით მიღდივართ. არავის.

ავგუსტი: არავის.

იული: დაიფიცე! დაიფიცე, რომ არავის არაფერს ეტყვი.

ავგუსტი: რა თქმა უნდა.

იული: თქეი – ვფიცავ არაფერს ვიტყვი.

ავგუსტი: ვფიცავ არაფერს ვიტყვი.

იული: მარადიული სიცოცხლისთვის ვიყო განწირული, თუ
საიდუმლო ვერ შევინახე.

ავგუსტი: მარადიული სიცოცხლისთვის ვიყო განწირული, თუ
საიდუმლო ვერ შევინახე.

იული: დღეგრძელი იყოს სიკედილი!

ავგუსტი: დღეგრძელი იყოს სიკვდილი!

იული: ამინ.

ავგუსტი: ამინ.

იული: კარავი გვჭირდება.

- ავგუსტი:** კარავი?
- იული:** და საგზალი.
- ავგუსტი:** საგზალი?
- იული:** ლუდი.
- ავგუსტი:** ბუტერბოლტებს გაფაქეთებ.
- იული:** თბილი ტანსაცმელიც. ღამით იქ მიწუსებშია ტემპერატურა. ზუსტად არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ცივი.
- ავგუსტი:** სად მივდივართ?
- იული:** თოვლში.
- ავგუსტი:** რომ გავიყინოთ?
- იული:** შენ მომძებნე. ჩემს საიტზე რომ შემოხვალ, ცოტა ხანი მოიცადე, ვინმე არ მოგყვებოდეს უკან. მერე შე გამოვალ და ნაფიცვან. Smile! ხალხია.
- ავგუსტი:** Smile.

სცენა იცვლება. Beach Boys – ის "Wouldn't it be nice". დღეა, გადაუღებლად თოვს. სცენა უკანა პლანზე უსასრულობას ერწყმის. სამყაროს კიდე.

ორივენი მძიმე ზურგჩანთებით დატვირთულები ფერდობზე აღიან. დიდხანს დგანან და თეთრ, ბუნდოვან პანორამას გასცემიან.

ბოლოს ბარგს თოვლში ანყობენ. ავგუსტი უფსერულისკენ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას ბედავს, ფეხი უცურდება, ეცემა და უკან ბრუნდება.

- ავგუსტი:** მოყინულია.

- ავგუსტი:** ლამაზია აქაურობა.
- იული:** ასე გვონია?
- ავგუსტი:** ხო, ეს მდინარე...
- იული:** ეგ ფიორდია.

ავგუსტი: რამხელაა! საიდან მოდის ამდენი წყალი?

ავგუსტი: რა?

იული: ეს ფიორდია. ზღვის წყალია, ზღვაა.

ავგუსტი: მერე რა.

ავგუსტი: რა იყო?

იული: რა?

ავგუსტი: რა მოხდა?

იული: რა უნდა იყოს?

ავგუსტი: შენ სულ ჩუმად ხარ, არაფერს ამბობ.

ავგუსტი: რალაცაშია საქმე.

იული: არა.

ავგუსტი: მე გეუბნები, რა ლამაზია მეთქი აქაურობა, შენ კიდევ არაფერს ამბობ. რალაცაშია საქმე.

იული: მოიცა რა.

ავგუსტი: მითხარი, რა ხდება.

იული: არაფერი. ა-რა-ფე-რი.

ავგუსტი: ხომ არ გეშინია?

იული: რა თქვი?

ავგუსტი: რა ვიცი. ხო შეიძლება..

ავგუსტი: საით მიღის ეს ფიორდი. სადმე მივიყვანს?

ავგუსტი: მომწონს, ლამაზია აქაურობა.

იული: არ შეგიძლია, ცოტა ხასს უბრალოდ გაჩუმდე?

ავგუსტი: რატომ?

იული: იმიტომ, რომ არაფერს ამბობ, მთელი ამ ხნის
განმავლობაში.

ავგუსტი: ხომ ვთქვი – ლამაზია მეთქი აქაურობა.

იული: ეგ არაფერია. არაფერი.

ავგუსტი: აუუ! მოიკარა.

ავგუსტი: რამდენ ხანს აპირებ ჩუმად ყოფნას?

იული: სამუდამოდ. სამუდამოდ მინდა დავდუმდე.

ავგუსტი: ახლავე?

იული: ახლაც.

ავგუსტი: სამუდამოდ?

იული: ხო.

ავგუსტი: მგონი, მე ძალიან მცირა საამისოდ.

ავგუსტი: ამ სიცივეში შეუძლებელია სამუდამოდ დადუმება.
ყოველ შემთხვევაში, დიდხანს ვერ იქნები ჩუმად.

იული: რა ხუმარა ხარ ისე, კაცმა რომ თქვას.

ავგუსტი: როგორ?

იული: სკოლაში კლასის კომიკოსი იქნებოდი, არა? ხუმარა
ავგუსტი.

ავგუსტი: არა.

იული: აბა, ახლა ინაზღაურებ?

ავგუსტი: რა უსიამოვნო ხარ.

იული: მართლა ავგუსტი გქვია? რა გქვია სინამდვილეში?

ავგუსტი: ავგუსტი.

იული: ეგ არ არის შენი ნამდვილი სახლი.

ავგუსტი: კი, ასე დამარქვებს, რომ დავიბადე.

იული: შენ ჩეტში დაირქვი აეგუსტი, იმიტომ რომ მე იული
მქვია.

ავგუსტი: იული... საერთოდ არ მიმიქცევის ამისთვის ყურადღება. არა, მართლა არა, რა უაზრობაა. იული. ცოტა ციფრი ხომ არ ხარ იულისთვის?

იული: კარგი, ხო. ყოველ შემთხვევაში, შენს სახელს არ დავიჯორებ. არასოდეს.

ავგუსტი: ერთი ეს მითხარი, მარტო რატომ არ გინდოდა ამის გაერთება?

ავგუსტი: ტაქსში სიტყვაც არ დავიძრავს. არც მანამდე. არ ვიცი.

იული: არ არის აუცილებელი, რომ სულ ვიღებარაკო. გესმის ეს? თუ არა?

ავგუსტი: კი, მესმის. არც მე მაქვს ყოველთვის სათქმელი. უბრალოდ, ახლა ლაპარაკის ხასიათზე ვარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაცამია საქმე. რატომ არ მეუბნები, რა ხდება?

იული: რა ხდება? ჩვენ უფსკრულის პირას ვდგავართ. იქით უფსკრულია, აქეთ – უკან დარჩენილი ქვეყანა, სადაც პატარა ადამიანები ცხოვრობენ და თავისთვის რაღაცებზე ფიქრობენ. ეს შუაგულია, ეს – ნაპირი, შემდეგ ხანგრძლივი სიცარიელე მოდის, ბოლოს კი – ზღვა. ზღვამი თევზები არიან. თევზებს შიათ. აი, ეს ხდება.

ავგუსტი: თუ გინდა, შეგვიძლია, გავჩუმდეთ კიდეც. უერაფერი შეედრება ვინმესთან ერთად დუმილს. ერთადერთი, შეიძლება, მარტო დაუმილი ჯობდეს. მარტოც მოვიკლავდი თავს, შენ რომ არ გეთქვა, რომ ადამიანებს შორის არ არის შენი ადგილი, და მხოლოდ შენა თავთან მარტო დარჩენილს შევიძლია იყო ნამდვილი. ეს მომენტია. მეც ზუსტად ასე ვარ.

იული: ხომ არავისთვის გითქვამს, აქ რომ ვართ?

ავგუსტი: არა. რატომ მეკითხები?

იული: უბრალოდ მინდა, რომ დარწმუნებული ეიყო.

ავგუსტი: ისედაც არავინ იცის აქაურობის შესახებ. ეთქეი,
რომ მეგობართან მივდივარ ორი დღით. ზეგამდე არ
დამიწყებენ ძებნას. მაგრამ, არავის მოუვა აზრად, აქ
მექებოს. შენ?

იული: მე არავინ დამიწყებს ძებნას.

ავგუსტი: მე კი მგონია, რომ ვინმე აუცილებლად დაგიწყებს
ძებნას.

იული: ამით ვითომ რისი თქმა გინდა?

ავგუსტი: რა და - სარკეში ჩაიხედე. რა, ტყუილს ვამბობს?
სიმართლე თუ გინდა, საერთოდ ვერ ნარმომიდგენია,
როგორ შეიძლება, შენ არავინ დაგიწყოს ძებნა.
შენინაირებს ხომ მუდმივად ეძებენ. ათასობით,
ათიათასობით ადამიანი ეძებს ასეთ რაღაცას.

იული: მართლა, ეძებენ?...

ავგუსტი: აბა რა! მართლა გეუბნები, მილიონები ეძებენ რაღაც
ასეთს - სევდიანს და ცოტა დაცემულს.

ავგუსტი: არ შემიძლია ქვევით ჩახედვა.

იული: მაშინ ნუ იყურები.

ავგუსტი: ასეთ ადგილებში სულ მგონია, რომ აი, ახლა
გადავხტები. ყოველთვის ასე მემართებოდა. შენც?

იული: კი.

ავგუსტი: მაგრამ, ამ სიმაღლეზე ჯერ არ ვყოფილვარ.

იული: 600 მეტრია.

ავგუსტი: ინტერნეტში ენახე – ტანსაცმლიანი ადამიანის
თავისუფალი ვარდნის საშუალო სიჩქარე საათში 190-
დან 205 კმ-მდეა. ესე იგი, ნამში დაახლოებით 55 მეტრი
გამოდის. ანუ... 600 მეტრი... ესე იგი, აჩქარების ფაზის
ჩათვლით, ვარდნა 10 ნამი უნდა გაგრძელდეს.

იული: ხო, დაახლოებით.

ავგუსტი: უკვე გამოთვლილი გაქვს, არა? რას აპირებ ამ ათი ნამის
განმავლობაში?

იული: ვარდნას.

ავგუსტი: კაი ერთი.

იული: და სიკვდილს.

ავგუსტი: სულ ეგ არის?

იული: ათა ნამის განმავლობაში მკედარი ვიქწები. ხო. უბრალოდ მივენდობი დინებას და აღარაფერი იარსებებს ჩემს გარშემო. არაფერი, ხრულებით არაფერი აღარ გეხება ამ ქვეყანაზე. ყველაფერი ჩამოიხსენი და სადღაც დატოვე – შენი ტყივილი, შენი სიხარული, შენი სიძულვილი, შენი სიყვარული, შენი ცუდი ხასიათი, შენი ყოველდღიური პასუხისმგებლობები. ყველაფერი, უბრალოდ. საერთოდ აღარაფერი გადელვებს. ჩვენი კონტინენტი დღემი 40 მილიონ ტონა განავალს აწარმოებს, შენ კი ეს აბსოლუტურად არ გეხება. ყველანაირი ფიქრი ზედმეტია, ნებისმიერი მოქმედება – შეუძლებელი. ყველაფერი უკან დარჩა. ვალდებულებები აღარ გაქვს, სუნთქვაც კი აღარ მოგვთხოვება. სრულებით თავისუფალი ხარ, არავითარი საქმე არ გაქვს. აბსოლუტური, უსასრულო თავისუფლება. შენ ღმერთი ხარ, ღმერთი კი არაფერს აკეთებს. ყველაფერს აცნობიერებ ამ რამდენიმე ნამის განმავლობაში, მაგრამ უკან დაბრუნება გამორიცხულია.

იული: შემდეგ – აღარ ხარ.

ავგუსტი: კი მავრამ, მეხსიერებას რას უშვები? ერთბაშად ყველაფერს ხომ ვერ დაივინყებ?

იული: კი, დაივინყებ. ყველაფერთან უნდა გაასწორო ანგარიში მანამდე, ყველაფერი უნდა დახურო.

ავგუსტი: დახურო.

იული: დიახ. მოლიანად ამ მომენტზე უნდა მოახდინო კონცენტრაცია.

ავგუსტი: ამ მომენტზე, არა?

იული: თუ, რა თქმა უნდა, არ გიძდა, რომ ვერც გაიგო, ისე მოკვდე. მაგრამ, მთელი ცხოვრები ამ ერთი მომენტის მოლოდინით იცხოვრო და ბოლოს ეს მომენტი გამოტოვო – ამაზე დიდი უაზრობის ჩარმოდგენაც კი

მიჭირს.

- ავგუსტი:** მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ არ ვამომრჩებოდა ცხოვრების ეს მცირე მომენტი, როცა დადგებოდა.
იული: ხოდა, ეს სწორედ ის მომენტია.

ავგუსტი ათამდე ითვლის.

- ავგუსტი:** თავიღან მევონა, რომ ვარდნისას მხოლოდ ერთს ვიფიქრებდი: აი, ეს არის. ეს არის. ეს არის. აი, ეს არის. ეს იქნებოდა ჩემი ბოლო ფიქრი. “აი-ეს-არის”. სრულიად ცარიელი ფიქრი, რომელიც არაფერს ნიშნავს, რამელიც მთლიანად დაცლილია და რაღაცნაირად შეეფერება ამ მომენტს. მაგრამ, რომ ვუფიქრდები, ათი წამისთვის ეს არ იქნება საკმარისი და დანარცხების წინ კიდევ მოვასწრებ უცებ რაიმე უსარგებლოს და შეუსაბამოს გაფიქრებას. მაგალითად ასე: “ახლა კი ფიქრობ: “აი, ეს არის”-ო, რადგან ასე გქონდა გადაწყვეტილი, მამაშენმა კი ლიმონის ნაყინი ვიყიდა, მაშინ, ლუნაპარკში, ოთხი ნლის რომ იყავი.” ბრახ.

იული: ლიმონის ნაყინი?

ავგუსტი: ეს ახლა მოვივონე.

იული: ესე იგი, არ უყიდია მამაშენს შენთვის ლიმონის ნაყინი?

ავგუსტი: კი, რა ვიცი. კი, ალბათ. იმ ათი წამის განმავლობაშიც ნამდვილად არ ვიციქრებ - ეს არის, აი, ეს არის. არანაირად. ახლა წამის ერთ მეათასედს ლიმონის ნაყინზეც გავულანვავ და ჩემი ცხოვრების თვით ყველაზე განუმეორებელ და ცოცხალ სიტუაციაშიც კი ვერ მოვახერხებ აზრების სრულ კონცენტრაციას. დიდი ხნით ვერაფერს ვერ აღფიქვამ სერიოზულად.

იული: თუ ვერაფერს აღიქვამ სერიოზულად, მაშინ გამუდმებით უნდა იცრუო.

ავგუსტი: კი. ყველა იტყუება. ყველა და ყველაფერი. ჩემი ბოლო გაფიქრებაც ყალბი მეჩვენება, რაც უფრო ღიღხანს ვფიქრობ ამაზე. ასე რომ, არც არის საჭირო, რაშე ზე დოდი ხნით მოვახდინო კონცენტრაცია. ერთადერთი,

რაც მუდმივია და რაც სერიოზულად შემიძლია აღვიქვა, მოწყენილობაა.

იული: მოწყენილობას ვერ ვიტან.

ავგუსტი: არადა, სერიოზული რამეა. ის ყველგან არის. მთელი სამყარო მოწყენილობისგან კვდება. ყველაფერი შენელებულია. დიჯები, მუსიკა, მანქანები, პლანეტები, უმცირესი ნაწილაკებიც. ყველაფერი მოდუნებულია. ტოტალური chill-out-ი. სადღაც მოვკარი ყური, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთვარე დედამიწაზე ჩამოვარდება მიზიდულობის გამო. დედამიწა ისრუტავს მას, მთვარე ეს ძალას კარგავს. მამაჩემსაც დაკარგული აქვს ძალა და დედაჩემის ორბიტაზე ტრიალებს. ყველაფერი ყველაფერს ისრუტავს. სამყარო ისრუტავს და იშლება, უფორმო მოსაწყენი, ცივი და უსიცოცხლო ხდება. Chill-out. სადღაც წავიკითხე: “სამყარო სისულეებზე დარტყმის შედეგად იშვა. მისი შექმნა საკუთარი არასრულფასოვნების გააზრების შედეგი იყო.” დამამახსაოვნდა. არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვები სინამდვილეში, მაგრამ საქმისა არსს კი ზუსტად წვდება. ათი წამი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ მოწყენილობამ არ დაისადგუროს. შეიძლება, ამ დროს უკვე არაფერი აღარ გეხება, მაგრამ ტვინში მაინც გაგიელვებს მოგონებები რომელიდაც უაზრო საგნებისა და ამბების შესახებ და გავახსენდება რომელიდაც გრილი ნაშაადლევი ტბაზე, მზით გამობარი ხავსი, სუნი, რომელიც აგარაკზე იდგა, კბილი რომ გტკიოდა და ის ბავშვი, ეპილეფსიური შეტევებით, შენი ველოსიპედი სახლის სარდაფში, ესკალატორი, რომელზეც პირველად აკოცე ვიღაცას, და ხვდები, რა სულელი იყავი, მატყუარა, პატარა და საცოდავი, ვერაფერში რომ ვერ გამოიყენე ეს ყველაფერი და ეიდევ სხვა უამრავი რამ და საშინელი მოწყენილობა გიპყრობს. ათი წამი მთელი საუკუნეა. იმაზე ვფიქრობ, ცოტა დაბლიდან ხომ არ გადავმხტარიყავით მეთქი.

იული: შეყვარებული გყავს?

ავგუსტი: არა.

- იული:** არ მიკვირს.
- ავგუსტი:** მართლა?
- იული:** დეპრესია მემართება, დიდხანს რომ გისმენ.
- ავგუსტი:** კი მაგრამ, ისედაც დეპრესიული არ ხარ?
- იული:** არა.
- ავგუსტი:** არა?
- იული:** რა იყო?
- ავგუსტი:** დეპრესიული არ ხარ?
- იული:** არა.
- ავგუსტი:** აბა, რა ხარ?
- იული:** ნორმალური. ბედნიერი ვარ.
- ავგუსტი:** ახლა რაღაცას თამაშობ თუ რა არის?
- იული:** არა.
- ავგუსტი:** ეგ არ მესმის.
- იული:** ბედნიერებისკენ მაქვს მიდრეკილება.
- ავგუსტი:** კი, გასაგებია, ეგ ნორმალურია.
- იული:** ხოდა, გეუბნები.
- ავგუსტი:** არა, ბედნიერებისკენ მიდრეკილების ქონა ნორმალურია. მაგრამ არა თვითმკელელებისთვის. მათ უფრო უფსკრულები და ასეთი რაღაცეები იზიდავთ. შიშისა და ძრწოლისკენ უფრო აქვთ მიდრეკილება.
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** ვერ გაციგე.
- იული:** დეპრესიულობას აზრი არ აქვს. სულელური, შემაფერხებელი და მოსაწყენია. აბსოლუტურად არაფრის მომტანია, საერთოდ არაფრის. თვითმკელელთათვისაც კი. დეპრესიული თვითმკელელები ლაჩირები არიან.
- ავგუსტი:** კი მაგრამ, თავს რაღატომ იკლავ მაშინ?
- იული:** შენ რა, დებილი ხარ საერთოდ?
- ავგუსტი:** რატომ?
- იული:** რას მბურღავ ერთი? ხომ გითხარი, ყელში მაქვს მეთქი ყველაფერი. ყელში ამომივიდა. საკმარისი იყო, მეყო,

რაც მივიღე, თავიდან აღარ დავიწყებ.

ავგუსტი: ნუ ყვირიხარ, სადმე ცხოველებს გამოაღვიძებ ზამთრის
ძილიდან. დათვები ხო არ იცის აქ?

იული: კი.

ავგუსტი: ჯანდაბა..

ავგუსტი: ეიდევ არ ვითქვამს, მარტო რატომ არ გინდოდა ამის
გაკეთება?

იული: იმიტომ, რომ.. იმიტომ, რომ მომგებიანობის
თვალსაზრისით გამართლებული არ არის
თვითმკვლელობის მარტო ჩადენა. ამას აზრი უნდა
ჰქონდეს. მე მინდა, რომ ჩემი ცხოვრება ბოლომდე
სწორად ალსრულდეს. მარტო ცხოვრება პათეტიურია,
ისევე როგორც მარტო სიკელილი. არ მინდა,
საწყალობლად მოვკვდე სადმე კუნჭულიში და თანაც,
მარტო ამას ალბათ არც გავაკეთებდი, არასოდეს.

ავგუსტი: რას ნიშნავს, აზრი უნდა ჰქონდეს ამას?

იული: მინდა, აქედან რამე მივიღო. მინდა ვიცოდე, როგორია
ადამიანი, რომელიც სულ ცოტა ხანში მოკვდება.
ტელევიზორში კი მინახავს, ხალხს როგორ ხვრეტენ,
შენელებული კადრები. მაგრამ, ტელევიზიია ყალბია,
შენელებულ კადრებში კი იმაზე მეტს ვერ ბედავ,
ვიდრე ჩვეულებრივ, ერთადერთი იმის ხედავ, რომ
სინამდვილეში ვერაფერსაც ვერ ხედავ.

ავგუსტი: გინდა ნახო, ვიღაცა როგორ კვდება?

იული: ხო.

ავგუსტი: ესე იგი - მე როგორ მოვკვდები.

იული: ხო.

ავგუსტი: შენ სულ მთლად გაგიფრენია. არა, მართლა ვერ ხარ
კარგად. მაგარი გარეკილი გაქვს.

იული: მოიცა ერთი.

ავგუსტი: ნარკოტიკებს ხომ არ იღებ?

იული: ნახევარი ევროპა გადასერე იმისთვის, რომ ჩემთან

ერთად იდგე ამ თოვლში, და შენ კარგად ხარ, არა? შენს თავს შეხედე. გვონია, შენ ჩორმალური ხარ? მე ის მაინც ვიცი, რას ვაკეთებ. შენ იცი, რას აკეთებ? სად ხარ? რისთვის ხარ, სადაც ხარ?

ავგუსტი: ნარმოდგენა არ მაქვს.

იული: შენ უფსერულის პირას დგახარ. შენი ჯერ არ გიცხოვრია და ცხოვრების მეორე ბოლოში ხარ გასული, ბიჭუნი.

ავგუსტი: იქნებ აქ სულაც არ ვარ თავის მოსაქლავად, გოგონი.

იული: მე რა ვიცი, რისთვის ხარ აქ?

ავგუსტი: ხო, შენ რა იცი, მე აქ რისთვის ვარ.

იული: აუ, ახლა იდუმალებით მოცული გინდა გამოჩნდე, არა?

ავგუსტი: რას იზამ, ახლა რომ გითხრა, არ ვაპირებ ამის გაკეთებას? იმიტომ, რომ არც ვაპირებდი არასოდეს? უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო წამოედი?

იული: იცი, რატომ არ არის ეგ მართალი? შიშისგან ლამის არის ჩაისვარო, იმიტომ. წუთის წინ ტაქსში ისე კანკალებდი, მე მეგონა, ყველაფერს გამოამუდავნებდი. ტაქსის მძღოლი წარამარა ხელებზე გიყურებდა, დავინახე. შენ გეშინია.

ავგუსტი: ეს იმიტომ, რომ მციოდა. ახლაც მცივა. რაც აქ ვდგავარ შეხთან ერთად და გისმენ, სულ უფრო და უფრო მცივა.

იული: გეშინია.

ავგუსტი: მე შენ არ გიცნობ. არ ვიცი, ვინ ხარ, ან რა ხარ.

იული: ეგ წამდვილად სულ ერთია. დიდად არ ვანვახვავდები სხვა დანარჩენი გოგოებისგან, რომლებსაც იცნობ. შეგიძლია, შენ თვითონ შექმნა ჩემი ხატი, ისეთი, როგორიც გაგეხარდება. ცოტა კოსმეტიკაც მაქვს წამოლებული, რომ საქმე გაგიადვილდეს.

ავგუსტი: შენი ხატი შევქმნა?

იული: ხო. წარმოიდგინე, რომ დედაშენი ვარ, ან რამე ეგეთი. მე რა ვიცი, რაზე გაქვს გართულება.

ავგუსტი: მაგრა ვერ ხარ. აუ, რა მინდა აქ, რას ვაკეთებ?

- იული:** რას აკეთებ და ლამირობ. ჯერ ახლახანს მოვედით, ეს პიქნიკი არ არის. შენი თვითმფრინავით ფრენის ფული გადავიხადე და შენ კიდევ ლამირობ.
- ავგუსტი:** არაფერსაც არ ვლამირობ, გაიგე? მე შენ არ ვიცნობ.
- იული:** მაგას არ აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ერთიდაიგოვე განწრახვა გვაქვს. გვინდა, რომ აქ თავი მოვიკლათ. ეს არის მთავარი.
- ავგუსტი:** არ გენდობი. არაფერი არ მჯერა შენი. არ მესმის შენი. დეპრესიულიც კი არ ხარ, ეს ოხერი. რატომ გინდა თავის მოკვლა მე არ ვიცი. არაფერს მეუბნები.
- გულწრფელად არა, ყოველ შემთხვევაში. რამე შოუში ვართ, თუ რა არის? რატომ არ მელაპარაკები ნორმალურად? რატომ თამაშობ მუდმივად? მე ხომ არ ვთამაშობ.
- იული:** თუ ყალბი გეჩვენები, ეს იმიტომ, რომ ჩემს თავს ვაიძულებ, ვილაპარაკო, ხასიათი რომ არ გაგიფუჭდეს. სულ ეს არის.
- ავგუსტი:** ხო, ვთქვაო, რა როგორ არის. ეს მომწონს.
- იული:** იმიტომ, რომ მაიძულებ, დიდ მოსაუბრედ მოგაჩვენო თავი.
- ავგუსტი:** მოიცა, მოიცა. შენ თვითონ გინდოდა ვიღაცის ნამოყვანა. მეს არ გინდოდა აქ მარტო ამოსვლა. შენ გინდოდა გენახა, როგორ გამოიყურება ადამიანი სიკვდილის პირისპირ. აპა, ბატონი. ასე გამოიყურება და ლაპარაკობს.
- იული:** ლაპარაკობს, კი. სისულელეებს.
- ავგუსტი:** ხო. ეგეც მართალია. ალბათ.
- იული:** "სიკვდილის პირისპირ". საიდან მოგაქვს ესეთი უაზრობები?
-
- იული:** ახლა რა, იბლავლებ?
- ავგუსტი:** არა.
- იული:** ტირიხარ?
- ავგუსტი:** არა.

- იული: ვაიმე, ხალხო, ტირის!
- ავგუსტი: რა ხალხო?
- იული: გამოსქმაა ასეთი. "ვაიმე, ხალხო, ტირის!"
- ავგუსტი: მე არ გამიგია.
- იული: აპა, ბატონო, კიდევ რაღაცა ისწავლე ამ სიბერეში.
- ავგუსტი: და რას ნიშნავს ეგ გამოთქმა?
- იული: "მიკვირს, რომ ტირი".
- ავგუსტი: მე არ ვტირი.
- იული: არა, შენს გამოთქმას უგულისხმობ.
- ავგუსტი: ჩემს გამოთქმას?
- იული: "ვაიმე, ხალხო, ტირის!"
- ავგუსტი: რეებს როშავ? უბრალოდ, აქაურობა შოვათვალიერე. მე არ ვტირი. ამ დეგენერატულ მდინარეს უუყურებ. წყალს და ყინულა.
- იული: თან ტირი.
- ავგუსტი: მერე რა? დანაშაულია?
- იული: არა.
- ავგუსტი: არა.
- იული: მიმტკიცებდი, არ ვტირივარო.
- ავგუსტი: იმიტომ რომ.. იმიტომ რომ.. ოხ, ამის დედაც.. რასაც მინდა, იმას დავამტკიცებ. აქ არავის არ უნდა ჩავაბარო ანგარიში. რასაც მინდა, იმას ვიტყვი. თუ მაინცდამაინც უნდა მოვკვდე, მაშინ როგორც მინდა, ისე მოვიქცევი. ბოლომდე ავიწყვიტავ და რასაც მინდა იმას გავაკეთებ. ბოლომდე ავიწყვიტავ და ყველაფერს ვიტყვი, რაც ჯერ არასდროს არ მითქვამს, ამის დედაც...
- იული: ეგ უჟვე თქვი.
- ავგუსტი: ძალიან სასაცილოა.
- იული: მოიცა. შენ თქვი "თუ მაინცდამაინც უნდა მოვკვდეო".
- ავგუსტი: ხო. მერე?
- იული: რაღაც უცნაურად უდერს.
- ავგუსტი: ხოო?
- იული: ხო. თითქოს აღარ უნდაო.

- ავგუსტი:** რა?
- იული:** სიკვდილი.
- ავგუსტი:** არაფერი აღარ მინდა.
- იული:** მოიცა ერთი წუთით. სიკვდილი უნდა გინდოდეს.
- ავგუსტი:** ჯანდაბა მაგას. აღარც მინდა ვიცოდე, რა მინდა და რა – არა. ხო, ესე იგი, მინდა.
- იული:** უბრალოდ რაღაცნაირი გრძნობა გამიჩნდა.
- ავგუსტი:** არც გრძნობა აღარ მინდა.
- იული:** ჩვენ შეთანხმება გვაქვს.
- ავგუსტი:** კი, ვიცი.
- იული:** უბრალოდ დარწმუნებული უნდა ვიყო. ჩვენ შეთანხმება გვაქვს.
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** რა შეთანხმება?
- ავგუსტი:** უკან დაბრუნება გარიორიცხულია.
- იული:** თუ ერთეულთი გადაიფიქრებს?
- ავგუსტი:** ხო, ვიცი...
- იული:** ხოდა, აბა..
- ავგუსტი:** მე მაინც ვიტყვი და გავაპეტაქ, რასაც მინდა.

ავგუსტი რაღაცას აკეთებს.

- იული:** რას აკეთებ?
- ავგუსტი:** რასაც მინდა იმას.

იული წელა უახლოვდება კლდის პირს.

- იული:** ერთი წუთით, აქ მოდი.
- ავგუსტი:** რატომ?
- იული:** მოდი, რა.
- ავგუსტი:** რისთვის?
- იული:** ამას შეხედე.

- ავგუსტი:** ახლა არაფრის დანახვა არ მინდა.
- იული:** გეშინია?
- ავგუსტი:** არა.
- იული:** მაშინ მოდი.
- ავგუსტი:** მანდ არ მოვალ. მოყინულია და ფეხი ცურავს. მანდ, სადაც შენ დგახარ, ფეხი ცურავს.
- იული:** სიმამაცის გამოცდა იქნება.
- ავგუსტი:** ახლა არავითარი სიმამაცის გამოცდა არ მჭირდება.
- იული:** კაცო, დაბლა ვერ ვიყურები, ვინმემ თუ არ დამიჭირა, ვააა!
-
- იული:** ძალიან ღრმაა. წარმოდგენა არ მაქვს, რა მომივა, იქ რომ ჩავიხედო.
- ავგუსტი:** მე მეგონა, ნამყოფი იყავი აქ შენს შმობლებთან ერთად.
- იული:** მაშინ ჯერ პატარა ვიყავი.
- ავგუსტი:** მაშინ არ ჩავიხედია ქვევით?
- იული:** კი, მაგრამ მაშინ მამაჩემს ვეჭირე.
- ავგუსტი:** მამაშენი ახლა აქ არ არის.
- იული:** არა, ახლა აქ არ არის.
-
- იული:** რას შეები? მოდიხარ?

ავგუსტი ნელ-ნელა ბედავს ნინ წასვლას და ოთხით
მიხოხავს იულიმდე. ისინი კიდისკენ მიცოცავენ.

- ავგუსტი:** ოღონდ, სისულელები არ იყოს, კარგი?
- იული:** შენ კი არ უნდა ჩაიხედო. მაგრად დამიჭირე, ტერფებით.
-
- ავგუსტი:** კანტი! კანტი ერქვა.
- იული:** ვის?
- ავგუსტი:** იმ ფილოსოფოსს.

- იული:** რომელ ფილოსოფოსს?
- ავგუსტი:** თვალებზე და ყურებზე რომ თქვა, არაფრად ვარგიანო.
- იული:** ხელს ნუ მიშლი.

სცენა იცვლება.

ჩვენს თვალწინ კლდე არის აღმართული. მაღლა თეთრი ცა მოჩანს. ზემოთ, კლდის კიდეზე იულის თავი მოჩანს, რომელიც დაბლა იყურება.

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) რა არის? რას ხედავ?

--

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) თქვი ახლა, რა არის?

--

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) როგორია?

- იული:** რა?

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) რასაც ხედავ.

- იული:** შენ თვითონ შეხედე.

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) რას?

--

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) არ შეგიძლია, რომ მითხრა?

- იული:** არ ვიცი.

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) არა? რას ხედავ?

- იული:** არ ვიცი, რისი გაგონება გინდა. ახალი ზელანდიის უკანალს ვხედავ. რას უნდა ვხედავდე ერთი? ვერაფერსაც ვერ ვხედავ წყეული უძირო უფსერულის გარდა.

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) სულ ქვევით? იქ რა არის?

- იული:** ქვევით სიბნელეა. რაღაცა იქნება, არ ვიცი. ალბათ, ჯოჯოხეთი ან რამე ეგეთი.

- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) შენ გინდა თქვა, რომ ფსეურს ვერ ხედავ?

- იული:** ვერა. მოიცა, იქ რაღაც არის გამოშვერილი. აქედან ცოტა ქვემოთ რაღაც არის გამოშვერილი. ამას უნდა

- ავცდეთ. საკმაოდ შორს უნდა გადავხტეთ.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) რაღაცაა გამოშვერილი?
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) რამხელაზეა გამოშვერილი?
- იული:** საკმაოდ დიდზე. ამას უნდა ავცდეთ.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) მაგას რომ დავენარცხოთ, არ იქნება საკმარისი?
- იული:** არ ვიცი. ალბათ არა. შეიძლება, მხოლოდ რამე მოგაწყვიტოს მანდ დაცემამ, შენ კი ვარდხა განავრძო. და შენი მკლავი იქ ჩამოეეიდება და ცოტა ხანი ხელსაც დაგიქწევს.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) ფსკერს ვერ ხედავ?
- იული:** შენ თვითონ შეხედე.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) გავგიუდები.

ავგუსტის თავი ჩნდება

--

- ავგუსტი:** არ შემიძლია დაბლა ჩახედვა.
- იული:** მაშინ ნუ იყურები.
- ავგუსტი:** თვალწინ ყველაფერი მიტრიალებს.
- იული:** მაშინ იქით გაიხედე.
- ავგუსტი:** ჯანდაბა.
- იული:** რა იყო?
- ავგუსტი:** რატომ ვაკეთებთ ამას?
- იული:** რაღაცა ხომ უნდა გააკეთო.
- ავგუსტი:** ხო.

--

- ავგუსტი:** როგორ ფიქრობ, ჩვენამდე სხვებსაც ჩაუდენიათ აქ იგივე?
- იული:** მაგაში შეგიძლია დარწმუნებული იყო.
- ავგუსტი:** რატომ გგონია?

- იული:** შენ ხომ არ გვინია, რომ მე და შენ რაღაც ახალ
აღმოჩენას ვაკეთებთ?
- ავგუსტი:** არა.
- იული:** შეგიძლია აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ
ასეთი რამე უკვე იყო. ასე, ან ცოტა სხვანაირად, მაგრამ
მთავარი მაინც ერთია.
- ავგუსტი:** არა, ასეთი ფორმით, ორნი ერთად და ასე შემდეგ.
- იული:** ორ-ორი ერთად, მარტო, მინდვრის თავვებივით.
ყველაფერი იყო უკვე. მაგრამ ეს ახლა აბსოლუტურად
სულ ერთია. ამას ჩემთვის ვაკეთებ და არა სხვებისთვის.
შოუს მოწყობას არ ვაპირებ.
- ავგუსტი:** არა.
- იული:** არც გამიკეთებია ეს არასოდეს. ჯერ არასდროს
მომიკლავს თავი.
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** ეს არის მთავარი. ეს აბსოლუტურად განუმეორებელია,
რაც გამოარჩევს ამას სხვა ყველაფერისგან, რაც აქამდე
ყოფილა. ჯერ არასდროს არ გამიკეთებია, ახლა კი
დროა.
- ავგუსტი:** როგორ? ახლა?
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** მოიცა, ახლავე?
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** კი მაგრამ...
- იული:** რა?
- ავგუსტი:** მე...
- იული:** რა?
- ავგუსტი:** შენ ხომ... მე... იმდენი რაღაც გვაქვს ნამოლებული.
საჭმელი, კარავი და რა ვიცი...
- იული:** ხო, მერე?
- ავგუსტი:** მე ვიფიქრე, რომ ჯერ დავიძინებდით, ერთ ღამეს
მოვიცდიდით.
- იული:** ერთ ღამეს მოვიცდიდით?

- ავგუსტი:** ხო.
- იული:** ანუ, კიდევ ერთხელ გინდოდა აგენტონ-დაგენონა
ჟველაფერი?
- ავგუსტი:** არა, არა... არა, ეგ არ მინდოდა.
- იული:** ხოდა, აბა?
- ავგუსტი:** მაგრამ, მოიცა ერთი წამით. ახლავე, ამ წუთას, ესე ხომ...
რაღაცის ჩანერაც მინდოდა და...
- იული:** წამო.
- ავგუსტი:** ერთი წუთი.
- იული:** წავედით, ადექი.

იული ფეხშე დგება.

- იული:** წამოდი, ღროჩე.
- ავგუსტი:** არა. ერთი წუთი. აქ ვერ ავდგები. მაშინვე
გადავვარდები, რომ ავდგე.
- იული:** სწორედ ეგ გვინდა. მიდი.
- ავგუსტი:** მოიცა. მოიცა. გამიშვი.
- იული:** მიდი, წამოდი. ახლავე მინდა მოვიშორო ეს. გადახტომა
მინდა. წამო.
- ავგუსტი:** ერთი წამი. ჯერ...
- იული:** რა?
- ავგუსტი:** მინდოდა..
- იული:** ერთი ღამეც დაგეძინა, ხო?
- ავგუსტი:** არა. ხო.
- იული:** ძილი მერეც საკმარისად შეგიძლია, მევდარი რომ
იქნები. წავედით, უნდა გადავხტეთ!
- ავგუსტი:** არა!
- იული:** წამოდი!
- ავგუსტი:** გამიშვი!

იული ხელს ხტაცებს ავგუსტს ხელში. იწყება ბრძოლა.
ბრძოლის დროს რამდენჯერმე ხან ერთია გადავვარდნის
პირას, ხან მეორე.

- ავგუსტი:** გაჩერდი!
- იული:** მშიშარა!
- ავგუსტი:** გაჩერდი! ხელი გამიშვი ეხლავე!
- იული:** არა.
- ავგუსტი:** გამიშვი!
- იული:** ჩვენ შეთანხმება გვაქვს.
- ავგუსტი:** ხელი გამიშვი! გადავცვიდებით.
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** ჩვენ ასე არ შევთანხმებულვართ!
- იული:** ზუსტად ასე შევთანხმდით.
- ავგუსტი:** ხელი გამიშვი!
- იული:** თუ არ გადახტები, მე მოგეხმარები იცოდე.
- ავგუსტი:** გამიშვი!
- იული:** არა.
- ავგუსტი:** აქედან რომ გადავვარდე, მცულელობისთვის ჩაგსვამენ.
- იული:** მეც გადმოვხტები, მე დებილო.
- ავგუსტი:** არ მინდა.
- იული:** რაა?
- ავგუსტი:** არ მინდა?
- იული:** წამოხვალ...
- ავგუსტი:** თუ არ გაჩერდები...
- იული:** რა? რა?
- ავგუსტი:** მოგელავ, შენი...
- იული:** ძალიან კარგი!

იული ფეხს წამოკრავს და ვარდება. ერთი ხელით
კლდის გამოშვერილ კიდუსუ მოჭიდებას ასწრებს და
უფსერულის თავზე ქანაობს.

- იული:** ვერ ამოვდივარ. მომეხმარე.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) შენ ... მაგარი აეადმყოფი ხარ! ხო
შეიძლებოდა, რომ გადავვარდნილიყავი!

- იული:** მერე რა. ხო მაგარი იყო. მომებმარე ამოსვლაში.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) მოიცა. ერთი სიმღერა მაქვს
ნამოლებული შენთვის.
- იული:** მომებმარე. ჯანდაბა. ისა.. მაპატიე. სულელურად
მოვიქეცი.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) ერთი ნამით, ახლავე იქნება!
- იული:** გეხუმრებოდი. არავითარ შემთხვევაში არ
გადაგაგდებდი. მართლა. მომებმარე, ამის დედაც.
ნარმოიდგინე, რომ გადავვარდე, მერე რალას იზავ?
ალარ შემიძლია. მიშველეთ! უხ, შენი.

ავგუსტი პატარა მაგნიტოფონით ხელში ბრუნდება და
მის ჩართვას ცდილობს.

- ავგუსტი:** მოუსმინე. იცი ეს სიმღერა? ჩემი ძმის დისკია.
- იული:** ამომიყვანე, შე ავადმყოფო.
- ავგუსტი:** ჩუ! მოიცა. ეს როგორ ირთვება?
- იული:** თუ არ ამომიყვან, ჩავვარდები.
- ავგუსტი:** მერე?
- იული:** მერე... შენს სინდისზე ვიქნები, სინდისი შეგანუხებს და
რად გინდა.
- ავგუსტი:** არ ირთვება, ეს ოხერი.
- იული:** მიშველეთ!
- ავგუსტი:** ისე, რამდენი ხანი მოვდიოდით ტაქსით?
- იული:** მიშველე!
- ავგუსტი:** როგორ ფიქრობ, ვინმეს ესმის ჩვენი ხმა?
- იული:** არა.
- ავგუსტი:** არა. არავის. ორმოცი კილომეტრის მანძილზე არავის
არაფერი არ ესმის.
- იული:** ამომიყვანე.
- ავგუსტი:** შეგიძლია იყვირო, რამდენიც გაგეხარდება, შენს ხმას
ვერავინ ვერ გაიგონებს.
- იული:** დიახ.

- ავგუსტი:** მიღი, აბა.
- იული:** რა?
- ავგუსტი:** იყვირე.
- იული:** მიშველე.
- ავგუსტი:** უფრო ხმამაღლა.
- იული:** შენ თვითონ იყვირე, შე ავადმყოფო.
- ავგუსტი:** ახლა არავითარი მიზეზი არ მაქვს, რომ ვიყვირო.
- იული:** არც მე მაქვს მიზეზი.
-
- ავგუსტი:** არა?
- იული:** არა.
- ავგუსტი:** შენს ადგილას ცოტათი შემეშინდებოდა.
- იული:** რატომ.
- ავგუსტი:** იმიტომ, რომ არ მიცნობ.
- იული:** და მერე?
- ავგუსტი:** იმიტომ, რომ არ იცი, ვინ ვარ. იქნებ მაგარი გარეეილი მაქვს. მოიცა, ის სიმღერა დაახლოებით ასე უღერსა: ტამტამტამ, ტამტამტამ, ტამტამტამ...
- იული:** უფ, რა ცუდი ბიჭი ხარ.
- ავგუსტი:** მითხარი, ჩემთვის რა სარგებლობა ექნება, გადავარდნას რომ გადაგარჩინო? რას მივიღებ სანაცვლოდ, ასე თუ მოვიქცევი?
- იული:** არ ვიცი. მომიყვანე, აღარ შემიძლია.
- ავგუსტი:** რას მივიღებ?
- იული:** მომეხმარე ამოსვლაში, ამის დედაც!
- ავგუსტი:** რას მივიღებ?
- იული:** რასაც გინდა.
- ავგუსტი:** რასაც მინდა?
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** და თუ არაფერი არ მინდა?
- იული:** თუ არაფერი არ გინდა, არაფერს მიიღებ. ამომიყვანე ეხლა.

ავგუსტს იული ამოპყავს. დაღლილები სხდებიან კლდის
ნაპირზე.

ავგუსტი: შენ ჩემი მოკვლა გინდოდა.

--

ავგუსტი: ხომ ასეა?

იული: შენ გაელია.

ავგუსტი: გინდოდა გენახა, როგორ გადავგარდებოდი ქვევით.

ორივენი უფსერულში იყურებიან. იული ნელა იღებს
ავგუსტის ხელს.

იული: შე მინდოდა...

ავგუსტი: წადი, შენი.

იული: შენ თეითონ წადი, შენი

ავგუსტი: მართლა, წადი რა.

იული: კაი ერთი, რას ამბობ.

ავგუსტი: შენ ჩემი მოკვლა გინდოდა, აი აქ, ამის დედაც.

იული: მაგარია.

ავგუსტი: მინიმუმ მოკვლა გინდოდა ჩემი.

იული: მაგარი სასაცილოა.

ავგუსტი: ალბათ გამომაყრის ამხელა შოკის მერე.

იული: გამოგაყრის? შენ ახლა გამონაყარზე ფიქრობ?

ავგუსტი: რა ვქნა. ყოველთვის სისულელეებზე ვფიქრობ.

იული: გამონაყარზე ფიქრობს.

ავგუსტი: ვის ელაპარაკები?

იული ფეხზე დვება.

იული: კარავი უნდა გაეშალოთ. ნახევარ საათში დაღამდება. აქ
ყოველთვის ბნელა, ზამთარში.

სიენა იცვლება.

იგივე სურათი, როგორც მეორე სცენაში, მაგრამ
სიბრუნვეა. ჩვენს ნინ მკრთალად განათებული კარავია.
კარვის ნინ ავგუსტი დგას და ცაში იყურება.

ავგუსტი: რაღაცა იყო ამ ნუთას ცაზე.

იული: (სცენის მიღმა) რა?

ავგუსტი: რაღაც სინათლე იყო. ცაზე.
იული ქარვიდან გამოდის.

იული: სად?

ავგუსტი: ყველგან. სულ ცოტა ხნით მთლიანად განათდა.

იული: სინათლე იყო?

ავგუსტი: ხო.

იული: ყველგან?

ავგუსტი: ხო.

იული: გაბრწყინებასავით რაღაც?

ავგუსტი: ხო. არ ვიცი. ესე ვიდექი, მერე მაღლა ავიხედე,
ვარსკვლავები თუ მოჩანს მეოქი და უცებ დავინახე.

იული: მერე?

ავგუსტი: რა მერე? შემაძრწუნებელი იყო.

იული: რა გითხრა ამ სინათლემ?

ავგუსტი: აუ, რა უაზრო ხარ.

იული: მართალს ამბობ?

ავგუსტი: ხო. უზარმაზარი იყო.

--

იული: ხო. კარგი. მე მცივა. (ისევ კარავში უჩინარდება)
დამის ცაზე უზარმაზარი სინათლე აელვარდება.

ავგუსტი: აი! აი! ისევ გამოჩნდა! რამხელა! ხედავ? აი.
იული გამოდის.

იული: პოლარული ნათება! ეს პოლარული ნათებაა!.. კამერა
სად არის!

იული კარავში ბრუნდება, ვიდეოკამერით გამოდის და

მაგიურ მოვლენას იღებს.

- იული:** ერთი წუთით! ვიღებ. ვიღებ. პოლარული ნათება...
- ავგუსტი:** გინახავს ადრე ასეთი რამ?
- იული:** არა. არასოდეს.
- ავგუსტი:** აქ არ გაიზარდე, სადღაც ახლოს?
- იული:** პოლარული ნათება ყოველ ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ ჩნდება. ესე იგი, თითქმის არასდროს.
- ავგუსტი:** იშვიათი ყოფილა.
- იული:** აქ არ ჩანს ხოლმე. არავის არ ვიცნობ, ვისაც ნანახი ჰქონდეს. უფრო ჩრდილოეთით ჩნდება.
სინათლე ისევ მკრთალდება.
- ავგუსტი:** გაქრა.
იულის ავგუსტ ზე გადააქვს კამერა.
- იული:** თქვი რამე.
- ავგუსტი:** რამხელაა პოლარული ნათება?
-
- ავგუსტი:** განიე. რამხელა უნდა იყოს? ძალიან დიდი ჩახს. მაგრამ, თუ იმხელაა, რამხელაც ჩანს, მაშინ ხომ ყველა უნდა ხედავდეს. რატომ უერთ ხედავს ვერავინ პოლარულ ნათებებს? შენ არავის იცნობ, ვისაც როდისმე უნახავს. არც მე. ნახევარი დედამინა ერთდროულად ხედავს მთვარეს. თუ პოლარული ნათება იმხელაა, როგორიც ჩანს, მაშინ მასაც ნახევარი დედამინა უნდა ხედავდეს. ან ცოტა წაკლუბი. მაგრამ, მაინც ძალიან ბევრი ხალხი. არა?
- იული კამერას რთავს.
- იული:** საყვარელი ხარ.
- ავგუსტი:** მაჩვენე. მაჩვენე, რამე თუ გადაიღე. იქნებ საერთოდ არ შეიძლება ასეთი სინათლის გადაღება!
- ავგუსტი უკან ახვევს კახუტის.
- ავგუსტი:** იქნებ პოლარული ნათებები ერთი ციცქნაა? ერთგვარი პალუცინაციასავით, რომლის შესახებ ვერავის დაეჭაპარაკები. იქნებ, მხოლოდ ჩვენს თვალნინ

ციმციმებენ, პირადი მოხმარების ვიდეოს მსგავსად.
ავგუსტი კასეტას რთავს. ორივე ვიდეოკამერის პატარა
ეკრანს დასცექერის, მათ უკან კი, ცაზე, კიდევ ერთხელ
თამაშდება იგივე სანახაობა.

- ავგუსტი:** აი, აგერ არის!
- იული:** ასე აღარ ახდენს შთაბეჭდილებას.
- ავგუსტი:** ვიდეოზე იგივე აღარ არის.
- იული:** თითქოს რაღაც ხარვეზიაო. ზებუნებრივად
გამოიყურება.
- ავგუსტი:** ეს არის ყველაზე ულამაზესი, რაც მინახავს ბოლო
დროს. ნარმოიდგინე, გამოქვაბულის ადამიანები რომ
ვიყოთ.
- იული:** გამოქვაბულის ადამიანები რომ ვიყოთ, ახლა შარვალში
ჩავისვრიდით იმის შიშით, რომ რომელილაც ღმერთებს
ჩვენთვის კისრის მოგრეხა უნდოდათ.
- ავგუსტი:** ხო. შარვლები ჰქონდათ გამოქვაბულის ადამიანებს?
- იული:** არ ვიცი. კისრები ნამდვილად ჰქონდათ.
- ავგუსტი:** ხო, რა ვიცი. შენი აზრით, ღმერთები ჰყავდათ?
- იული:** რა თქმა უნდა. სწორედ პოლარული ნათებები. ყოველ
ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ გამოივლიდა
თითო ღმერთი პოლარული ნათების სახით და ხელს
დაუქნევდა. ისინი კი შემდეგი ორმოცდაათი წელი ამით
საზრდოობდნენ.
- ავგუსტი:** გამოქვაბულში?
- იული:** ხო.
- გამოსახულება იულის და ავგუსტის უკან პოლარული
ნათებიდან ავგუსტიზე გადადის. გამოსახულებაზე
კიდევ ერთხელ ვხედავთ ავგუსტს, რომელიც ამბობს:
“რამხელაა პოლარული ნათება?”
- იული:** რამხელაა პოლარული ნათება. მაგარია.
- ავგუსტი:** აუ, რა უაზროდ გამოვიყურები. მაგარი ყალბი ვჩანვარ.
კამერა გამოირთო და დამის ცა მოჩანს.
- იული:** საშინლად მოგეეცი.
- ავგუსტი:** რა?

- იული:** მაპატიე. საშინლად მოგექიცი დღეს. არ უნდა დაიჯერო ხოლმე, რასაც ვამბობ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცოტა ხანში თავის მოკვლას ვაპირებ. ასეთ მომენტში არავინ არის გულწრფელი.
- ავგუსტი:** არა?
- იული:** არა. მიყვარხარ.
- იული ნაზად კოცნის ავგუსტის საფეთქელაზე.
- ავგუსტი:** ეს რატომ გააკეთე?
- იული:** უცებ ასე მომინდა.
- ავგუსტი:** რა რბილი ტუჩები გაქვს.
- იული:** იცი ... ძენ შევიძლია მომენდო.
- ავგუსტი:** მეც მიყვარხარ.
- იული ავგუსტს კამერას ართმუვს და იღებს მას. უკან, ეკრანზე, ავგუსტის გამოსახულებას ვხედავთ მსხვილი ხედით.
- იული:** კიდევ ერთხელ თქვი.
- ავგუსტი:** რა?
- იული:** ამ ნუთას რაც თქვი, გაიმეორე კიდევ ერთხელ.
- ავგუსტი:** ვერა.
- იული:** ეგ არ გითქვამს..
- ავგუსტი:** იმას ვერ გავიმეორებ.
- იული:** ვეღარასოდეს?
- ავგუსტი:** მომეცი.
- ავგუსტი კამერას აიღებს და იულის იღებს.
- იული:** მომისმინე: ბევრი დრო აღარ გვაქვს. დაახლოებით ოთხი ბუტერბროტი და ათი ქილა ლუდი გვაქვს დარჩენილი. არც მუსიკა და სიგარეტი გვეყოფა დიდხანს. მაღა ხვალინდელი დღე დადგება. ხვალ კი უველავერი მთავრდება. ეს ახლა უნდა გავაცნობიეროთ. ასე რომ, ყველაფერი სულ ერთია. შეიძლება, ძალიან უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინო, მაგრამ სულ ერთია. არ გჭირდება თავის შეკავება, გაიგე? აյ აღარავინ მოელის ამას შენგან. შეგიძლია, ბოლომდე აიწყვიტო. შეგიძლია, ადგე და მთელი ამ პანორამის ფონზე დაანძრიო, სულ

ერთია. შეგიძლია, ყველაფერი თქვა, რაც კი არსებობს, შეგიძლია აქეთო, რაც გაგეხარდება. შეგიძლია გაიმორო, ან არ გაიმორო სიტყვები. შეგიძლია, თავით იარო. ამიტომ, როცა გთხოვ, როცა რაღაცას გთხოვ, რაღაც უწყინარს, გააკეთე გს, თორემ გავგიუდები. ან, თუ რამე სხვა იდეა გაქვს გააკეთე. იმიტომ, რომ მაგარია რაღაცის ეტება. ბევრად უფრო მაგარია, ვიდრე არაფრის ეტება. ფიქრის დრო წავიდა. ფიქრი მაშინ შეგიძლია, როცა ბევრი დრო გაქვს. ჩვენ კი დრო არ გვაქვს. შევთანხმდით?

ავგუსტი: შევთანხმდით.

იული: ფიქრისთვის მერეც გვექნება დრო, მთელი მარადისობა.

ავგუსტი: ხო?

იული: ხო. თუ ის, რაც ჩვენში ფიქრობს, სულია და სული კი უკედავია, როგორც ყველა ამტკიცებს, მაშინ ლოგიკურად მარადიულად გვქონია დრო ფიქრისთვის. მაგრამ ბევრად უფრო წაკლები დრო გვაქვს რამის გასაკეთებლად. ხოდა ასე და შენც თუ მთხოვ რამეს, მეც გავაკეთებ.

--

იული: მიყვარხარ, იცი?

ავგუსტი: ხო. მეც მიყვარხარ.

იული: ერთი წუთით, მომეცი.

იული კამერას იღებს და აეგუსტს იღებს.

იული: რა თქვი ამ წუთას?

ავგუსტი: არ ეიცი.

იული: ხომ შევთანხმდით, ახლაბანს?

ავგუსტი: ხო.

იული: მერე?

ავგუსტი: რა?

იული: მერე, რაღაც არ თქვი ამ წუთას? მიდი, თქვი დროზე.

ავგუსტი: შეკვეთით არაფრის თქმა არ მინდა.

იული: კარგი. მაშინ რამე სხვა თქვი. რამე ახალი. ჩქარა. მოდი,

ვივარჯიშოთ ამაში. მიდი, თამამად. ფიქრის დრო ნავიდა. თქვი რამე! ემოციები, მიდი! ინსტინქტს მიენდე. თუ სამ ნამში რამე ემოციურს არ იტყვი, გადაეხტები, იცოდე. ერთი, ორი, სამი.

ავგუსტი: – *Heil Hitler!*

--

იული: შენ რა, ვერ ხარ?

ავგუსტი: რა იყო?

იული: მაგარი სიდებილე იყო ეს ახლა.

ავგუსტი: უცებ ნამოვისროლე. შენ ჩამაგდე სტრესში.

იული: არა, მართლა მაგარი უაზრობა იყო. მაგარი სამარცხვინოა.

ავგუსტი: აქ ხომ არავის არ ესმის. შენ თვითონ არ თქვი: სულ ერთია, რას იტყვიო.

იული: ხო, მაგრამ ასეთი რაღაც არ მიგულისხმია.

ავგუსტი: და საერთოდ, მე შენ სიკვდილს გადაგარჩინე.

იული: ცოტა უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრე?

--

ავგუსტი: ერთი, ეს კამერა რისთვის ნამოიდე?

იული: ისე, უბრალოდ. მინდოდა, რომ იმათ... რომ რამე დარჩენილიყო... აი, ახლა აქ არის, ახლა – აქ.

ავგუსტი: მინდიხარ.

იული: რატომ ამბობ ამას?

ავგუსტი: იმიტომ, რომ შენ თქვი, რაც გინდა, ის უნდა თქვაო.

იული: პრეზერვატივი გაქვს?

ავგუსტი: არა.

იული: პრეზერვატივი არ აქვს.

ავგუსტი: რისთვის?

იული: დედიკო, პრეზერვატივი არ აქვს და ჩემთან დაწოლა უნდა, შეიძლება? არავითარ შემთხვევაში. არა, თავს არ დავაორსულებინებ, ამის მერე პირდაპირ უფსერულში ვაპირებ გადახტომას. დაავადება? არა, იმასაც თან ნავიღებ, ვერც ის გადარჩება.

--

- იული: რა იყო?
- ავგუსტი: არაფერი.
- იული: რამე პრობლემაა ამაბი?
- ავგუსტი: რაში?
- იული: რომელიმერობ.
- ავგუსტი: არა.
- იული: ხო... მაშინ წავალ ახლა კარავში და ცოტა თავს მოვუგლი.
- ავგუსტი: ხო.
- იული: "ხო..."
- ავგუსტი: ხო.
- იული: ისინი სუსტად განათებულ კარავში კამერიანად უჩინარდებიან და შესასვლელს ხურავენ. ხმის გამაძლიერებლით უფრო ხმამაღლა გვესმის მათი ლაპარაკი.
- იული: (სცენის მიღმა) შენ კანკალებ
- ავგუსტი: (სცენის მიღმა) მცირა.
- იული: (სცენის მიღმა) ასე თუ იკანკალებ, არაფერი გამოვა. გამორთე ერთი ეგ. მომეცი. გამორთულია? ვიდეოკადრში კარავში მყოფ ავგუსტის და იულის ვხედავთ. გამოსახულება ირევეა. როგორც ჩანს, იული აიღებს და ვეერდზე გადადგამს კამერას. გამოსახულება ერთი ნამით ქრება და ისევ ბრუნდება. რაღაც ფერადი და გაურკვეულია, ჩნდება, ტანსაცმლის რაღაც ნაწილი მსხვილი ხედით.
- იული: (სცენის მიღმა) უნდა ვისუნთქოთ. სუნაქავ?
- ავგუსტი: (სცენის მიღმა) სატრფო არ გყავს?
- იული: (სცენის მიღმა) სატრფო?
- ავგუსტი: (სცენის მიღმა) შეყვარებული.
- იული: (სცენის მიღმა) რა საყვარელი ხარ. სხვა რამე მეითხე.
- ავგუსტი: (სცენის მიღმა) ვერ გავიგე, გყავს თუ არა?
- სურათი უცებ ამოძრავდება და ორივენი ისევ ჩნდებიან კადრში.

- იული:** ჯობია მკითხვა, რომელი პოზა მიყვარს.
- ავგუსტი:** რომელი გიყვარს??
- იული:** ხელებზე მდგარი, ცხენზე.
- ავგუსტი:** და იმას რომელი უყვარს?
- იული:** შენ თუ იმასთან გინდა ამის გაკეთება, მაშინ მისამართი შეგძლია.
- ავგუსტი:** ვისთან?
- იული:** მე რა ვიცი? შენ ლაპარაკობ წარამარა ვიღაც ტიპზე.
- ავგუსტი:** მინდოდა, გამეგო.
- იული:** ოღონდ იმედია არ ეჭვიანობ, ან რამე მსგავსი.
- ავგუსტი:** არა.
- იული:** თორემ, მანდ ყველაფერი მთავრდება ჩემთვის. ეს არის ყველაზე ბოლო, რაც მჭირდება - უფსკრულის პირას კარავში ვიჯდე და ეჭვიანობის სცენას ვისმუნდე. ძალიან ზედაპირულად სუნთქავ. ასე აქ არასოდეს დათბება. რა იყო?
- ავგუსტი:** რა უნდა იყოს?
- იული:** ისევ კანკალებ.
- ავგუსტი:** ცივა.
- იული:** მოდი.
- ავგუსტი ახლოს მიუვდება იულის.
- იული:** მომკიდე ხელები.
-
- იული:** როგორ ფიქრობ, სამყაროს დასასრული დამით დადგება?
- ავგუსტი:** არა, გამთენისას.
- იული:** ესე იგი, გცოდნია ის ფილმი?
- ავგუსტი:** რომელი ფილმი?
- იული:** “უმიზეზო მებმბოხე”.
- ავგუსტი:** არა.
- იული:** იქ ერთი სცენაა, ბოლოსკენ. პლატონი პქვია ერთს, იმ ორ დანარჩენზე ბევრად უმცროსია, მათი შვილივით არის, რა. ის შეყვარებული წყვილი მისი მშობლებივით

არიან, და ეს ეკითხება იმ ტიპს, რომელსაც ჯეიმს დინი
თამაშობს, სამყაროს დასასრული ღამით დადგებაო?

ავგუსტი: მერე?

იული: ჯეიმს დინი ამბობს: "არა. გამოენისას."

ავგუსტი: გენიოსი ყოფილა ტიპი.

იული: ეს სცენარში ეწერა ასე.

ავგუსტი: მეც მაგას ვამბობ.

იული: რომელი ტიპი?

ავგუსტი: ვინც ეს დაწერა.

იული: იქნებ იმანაც მოიპარა, როგორც შენ მოიპარე ახლა.

ავგუსტი: მე არ მომიპარავს.

იული: შენ ნანახი გაქვს ეს ფილმი.

ავგუსტი: კი.

იული: ნატალი ვუდიც იცი, ვინ არის?

ავგუსტი: კი.

იული: უბრალოდ, თავი ისე მომაჩვენე, ვითომ არ იცოდი?

ავგუსტი: ხო.

იული: მე შენ დაგიჯერე?

ავგუსტი: იქნებ შენც მხოლოდ თავი მომაჩვენე.

იული: შეიძლება.

ავგუსტი: შეიძლება.

--

ერთმანეთს კოცნიან.

იული: მითხარი, ერთი, იმასაც ხომ ვერ ნარმოიდგენდი, რომ აქ
გახდას და ასეთ რაღაცეებს დავინწყებდით...

ავგუსტი: ნარმოდგენით კი ნარმოვიდგენდი.

იული: ხო. მაგრამ, აუცილებელი არ არის, ეს გავაკეთოთ, არა?

ავგუსტი: არა, აუცილებელი არა. შეგვიძლია უბრალოდ უფრო
ზუსტად ნარმოვიდგინოთ ეს ყველაფერი.

იული: ხო, შეგვიძლია.

ავგუსტი: მე, მაგალითად ახლა პირველ რიგში შენი უაკეტის ქვეშ
შეძრომას შევეცდებოდი.

- იული:** მე კიდევ ხელს აი, აქ დაგადებდი, ბარძაყის შიგნითა
მხარეს.
- ავგუსტი:** ესე იგი, თითქმის პირდაპირ საქშეზე გადახვიდოდი.
- იული:** ხო.
- ავგუსტი:** ეს საკმაოდ ამიბნევდა თავგზას.
- იული:** თავგზას აგიბნევდა?
- ავგუსტი:** ხო, თუ რა ქვია?
- იული:** არ ვიცი. ეგეთ რაღაცეებს არ ვამბობ.
- ავგუსტი:** აღმაგზნებდა.
- იული:** ხო? აქ რომ დამედო შენთვის ხელი?
- ავგუსტი:** კი. მერე სავარაუდოდ მეორე ხელით, რომელსაც არ
ვეყრდნობი, შენს თმას შევეხებოდი, შემდეგ კი შენს
ყელს.
- იული:** მე კი ხელს აქ ასე აგისვამდი და ჩამოგისვამდი,
სავარაუდოდ.
- ავგუსტი:** შემდეგ კი უკვე შევეცდებოდი, ხელი ბუსპალტერის
მიმართულებით გამეპარებინა.
- იული:** ეგ როვორ?
- ავგუსტი:** აი ასე, რა, გვერდიდან. ჩამოცურებისას კი ჩემი მაჯა
ალბათ შენს მკერდს შეეხებოდა.
- იული:** ხო, ალბათ. მე ალბათ ამ დროისთვის ხელს შენი
ბარძაყიდან სახეზე გადავიტანდი და მოგეფერებოდი.
- ავგუსტი:** ეს ალბათ შემაგულიანებდა. შემდეგ ხელს თეძოზე
გადაგატარებდი და ზურგზე შეგეხებოდი.
- იული:** მე ყელზე გაკოცებდი.
- ავგუსტი:** არაფერს არ ვიტყოდი მთელი ამ დროის განმავლობაში.
მაგრამ, ვიკანკალებდი.
- იული:** ხო. მეც.
- ავგუსტი:** მაგარი ალელვებული ვიქწებოდი, რადგან ახლა ეს
მოხდებოდა...
- იული:** შენს სუნს ვიგრძნობდი. შემდეგ ისევ შემოგხედავდი და
გავითიქრებდი, რომ მაგარი სიმპატიური ხარ.
- ავგუსტი:** არა, ერთი წუთით. მაგას მე ვუიქრობ. მე ვიფიქრებდი.

ავგუსტი კარვიდან გამოდის, ეკრანზე კი მაინც ორივენი
ჩანაბ კარავში. ავგუსტი თავისთვის ლაპარაკობს
მაყურებლის მიმართულებით.

- ავგუსტი:** ვიფიქრებდი, რას აკეთებს ნეტავ ჩემთან ერთად კარავში
ეს უმაგრესი ფისუნია. ასეთი ლამაზი და საერთოდ,
ისედაც ძალიან მავარი. მე კი ხომ მხოლოდ და მხოლოდ
შე ვარ. უცნაურია, ჩემთან რომ იწყებს რაღაცას.
იქნებ გიჟია. აქ უკავი თითქმის იქამდე მივიდოდი, რომ
ყველანაირი მონინება დამკარგვოდა. რაღაც შეცდომაა,
რაღაცაშია საქმე. ეს რაღაც გაუგებობა. მას ჰქონია,
რომ მე - მე არ ვარ, არადა, მე ვარ. მაგრამ, ეს არ უნდა
ვუთხრა, თორემ ყველაფერი ჩაიფუშება.
იულიც გამოდის კარვიდან, უკან, ეკრანზე კი კვლავაც
ივივე ჩანს, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს. იული
ავგუსტის გვერდით დგება და ისიც მაყურებლისკენ
იყურება.

- ავგუსტი:** ახლა ძალიან ფრთხილად უნდა მოვიქცე და არაფერი
შევიმჩნიო, ვითომ სრულიად ბუნებრივი ამბავია, რომ
ასეთი ქალი დაინტერესდა ჩემით, კარავში. ვითომ სულ
მემართება ასეთი რაღაცები და სანამ ჩემს თავს ამას
ვეუბნები, ამასობაში ხელს მკერდზე ჩაგიცურებ და
გკოცნი, დაახლოებით ისე, როგორც მაგარი საყვარლები
კოცნიან ფილმებში. რადგან, რაც შეიძლება მაგარი
ტიპის შთაბეჭდილება უნდა დაეტოვო, და თანაც ახლა
არ მახსენდება, როგორ შეიძლება ასეთ სიტუაციაში
ბუნებრივად მოიქცე.

იული: ალბათ ასე.. ხელები უნდა გადაუსვა მკერდზე და...

ავგუსტი: ხო.

იული: ხო.

ავგუსტი: ხო. და, ესე იგი, გაკოცებდი, დიდხანს და ოსტატურად
გკოცნიდი, და ვიფიქრებდი, რომ ძალიან რბილი ტუჩები
გაქვს.

იული: მე კი ვიოცნებებდი, რომ ეს კოცნა აღარ
დამთავრებულიყო და ყველაფერი, რაც აქამდე ვიყავი,
მსხერევას დაინყებდა ჩემში, დაემხობოდა და სულ

უფრო მეტი ადგილი დარჩებოდა შენთვის. მე კი ჯერ არ მენდომებოდა შენი შემოშვება, ამ არეულობის შემრცხებოდა, რომელიც ჩემშია, აქ ხომ ჯერ იმდენი რამეა გაურკვეველი. მაგრამ კოცნა სულ უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა, მე ნანილობრივ დამავიწყდებოდა კიდეც, ვინ ვარ, ისე ძლიერად ვამოძრავებდი ენას, რომ ცოტა ხანი დავიჯერებდი კიდეც, რომ ყველაფერი კარგად არის, რომ ყველაფერმა ჩაიარა და ჩვენ გადაჭრჩებით, გესმის? ყველაფერს გადავიტანთ და გადავრჩებით.

ის, რაც ეკრანზე მოჩანს მათ უკან, თითქოს ალარ შეესაბამება სინამდვილეს კარავში. სურათები, რომლებსაც იული ვამოიხმობს, ნელ-ნელა იძლება ჩვენს თვალწინ.

შემდგომში ეკრანსა და სცენას შორის ერთგვარი “დიალოგი” წარმოიშვება და ორივე სივრცე თითქოს ერთმანეთს ერწყმის.

- იული:** ვიოცნებებდი რომ სიკვდილი შეჩერდა და ჩვენ ისეთ ადგილას ვართ, რომელიც ჩვენია, შინ, ჭერქვეშ. შესაძლებელია შინ, სახლში ყოფნა და რომ სიკვდილმა ჩაიარა, ჩვენ კი შეგვიძლია გარეთ გამოვიდეთ, რადგან იქ ყველაფერი ნორმალურადაა, სიკვდილმა ჩაიარა, გესმის? ალარაფერი მიისწრაფის სიკვდილისკენ, ყველაფერი უბრალოდ არის. წარმოსახვაში ქუჩაში გავიდოდი და კოცნა იმდენ ხანს გაგრძელდებოდა, სანამ ქუჩაში აღმოვჩნდებოდი. დამე იქნებოდა, მე შენ თან წაგიყვანდი, ქუჩაში ვიკლიდით, შემდეგ ტაქსს გავაჩერებდით, ჩავსხდებოდით, მე კი ისევ შენს ფეხს დავეყრდნობოდი და თავს მყარად ვიკრძნობდი.

- ავგუსტი:** ისედაც, რა თქმა უნდა, მოხდებოდა რაღაცეები.
- იული:** შეხედე, სინათლეები. ქალაქის სინათლეები.
- სინათლეები** ჩაიქროლებენ.
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** ყველაზე მეტად ტაქსში გვენდომებოდა, გვესიყვარულა, საჯაროდ, რადგან ერთმანეთი მაშინ იქ გავიჟანით.

- ავგუსტი:** ხო. მაგრამ, ახლა არა. მე შენს გახდას დავიწყებდი. ჯერ მოსაცმელს გაგხდიდი, შემდეგ კი – ზედას.
- იული:** მე მოგეხმარებოდი, რომ სწრაფად წასულიყო ყველაფერი. გიჟივით დავიწყებდი შენი პერანგის ქაჩას, ისიც რომ მომეცილებინა და შემდეგ ასე ვიწვებოდით გვერდიგვერდ. მე კი რაღა თქმა უნდა გეტყოდი: მცივა.
- ავგუსტი:** მე ზემოდან დაგაწვებოდი, აი ასე, ნახევარი ტანით, შენი კანი მართლაც ძალიან ცივი იქნებოდა, ჩემიც, მაგრამ ერთად გავთბებოდით. მე კიდევ უფრო მეტს გაკოცებდი იმ ხელს, რომელიც თავისუფალი მექნებოდა (იმიტომ, რომ მეორე შენს ქვეშ მექნებოდა მოყოლილი, მაგრამ არ შევიმჩნევდი), თავისუფალ ხელს ბარძაყზე მოგისვამდი, როგორც შენ მიკეთებდი მანამდე, რადგან მეცოდინებოდა, რომ შენ ეს მოგწონს, რადგან მე გამიკეთე ასე, თანაც კარგი იყო.
- იული:** მე კი ძალიან ნელა გავშლიდი ფეხებს, იმის მისანიშნებლად, რომ შეგიძლია, უფრო მაღლაც ახვიდე ხელით. იმიტომ, რომ ჯერ არც ისე დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ.
- ავგუსტი:** ხო. მე მაღლა ავიდოდი ხელით. მაგრამ, ჯინსებში არაფერი იგრძნობა, ამიტომ შეშლილივით გავაგრძელებდი ზუკის შენს კოცნას, სანამ შენი შარვლის გახსნას მოვახერხებდი.
- იული:** მე კი გადავბრუნდებოდი, რომ მთლიანად გამეხადა და მთლიანად გავიხდიდი. შენ მომეხვეოდი, ერთმანეთს გავათბობდით. პატარა ყავის კოვზებივით ვიწვებოდით ერთმანეთს მოხვეულები, მე კარვის კალთას შევხედავდი, კარვის კალთა იფრიალებდა, და ჩვენ უდაბნოში ვიქნებოდით, ორი ბედუინი, მე შენს მქერდს ვიგრძნობდი ზურგზე. თმები გაქვს?
- ავგუსტი:** როგორ?
- იული:** მკერდზე.
- ავგუსტი:** არა.
- იული:** კარგია.
- ავგუსტი:** ხელები შენზე მეკიდებოდა და თეძოებს ვამოძრავებდი,

- მუსი:** შევეცდებოდი, თავი შემეკავებინა, ამხელა აღელვებისას.
- იული:** ბოლოს ვეღარ გავუძლებდი და დავნებდებოდი მთელ ამ სურვილს, ჩვენ რომ მოგვიცავდა. ოთხზე წამოვხტებოდი და ვიყვირებდი: "მოდი, შემოდი ჩემში, მოდი"...
- ავგუსტი:** სერიოზულად?
- იული:** რატომაც არა.
- ავგუსტი:** ხო, რა ვიცი. მე კი ვიფიქრებდი, მთლად გადარეული ყოფილა მეთქი ეს ფისუმია და.. მოკლედ, გავაეთებდი ამას.
- იული:** როგორ?
- ავგუსტი:** მე.... შენ... მე.... მოკლედ, რა.
- იული:** თეძოებით დამიჭრდი.
- ავგუსტი:** ხო, ერთი ხელით. მეორეს კი ზურგზე აგისმევდი და ჩამოგისმევდი.
- იული:** მე კი შენ მოვძებნიდი, უკანალს მოგაჭერდი და ვიგრძნობდი, როგორ შემოდიხარ ჩემში, თავიდან წელა და შემდევ სულ უფრო ძლიერად. ჩემი სუნთქვა ყოველ ბიძგთან ერთად უფრო აჩქარდებოდა.
-
- ავგუსტი:** მე შენ მეყვარებოდი.
- იული:** შენ ალბათ უიმაობას გულისხმობ? თავის გამოლაყებამდე ვიჟიმავებდით.
- ავგუსტი:** არა, სიყვარულს ვგულისხმობ.
- იული:** ესე იგი, მოსაწყენად უიმაობას?
- ავგუსტი:** არა.
- იული:** აბა, მეგიყვარდებოდი?
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** რას დამიძახებდი?
- ავგუსტი:** ბარტყეს.
- იული:** ბარტყეს.

- ავგუსტი:** არა, არ ვიცი. არა, აღბათ, ფისუნიას.
- იული:** ფისუნიას? შენ რა, ზოოფილი ხარ?
- ავგუსტი:** ან კიდევ, პატარას.
- იული:** ხო, ან პედოფილი?
- ავგუსტი:** რა იყო?
- იული:** ბედნიერი ვარ.
- ავგუსტი:** მეც.
- იული:** ხვალ მოვკევდებით.
- ავგუსტი:** ხო.
- იული:** იცი, რა ბედნიერი ვარ!
- ავგუსტი:** მეც.
- იული:** წამო.
- იული ხელს ჰკიდებს ავგუსტს. ისინი კარავში უჩინარდებიან.
- იული:** (სცენის მიღმა) მუსიკა ჩართე! მიდი, მუსიკა ჩართე! ის რა იყო, ჩემთვის რომ გინდოდა მოგესმენინებინა? რა იყო, წელან რომ გინდოდა ჩაგერთო ჩემთვის? მაჩვენე. იული დისკს რთავს.
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) არა, შემდეგი. ეიდევ შემდეგზე გადადი. მეოთხეა. აი, ეგ. KINGSMEN-ის "Death of an Angel".
- ავგუსტი:** (სცენის მიღმა) ორდანი. მაგარია. ტიპები მაგარი არაამქეცებიურები იყვნენ. უსმენ? ეს ისტორიული მუსიკაა. თრეში. თრეშს ეძახდნენ. ესენი პანკები იყვნენ, პანკებამდე თცი წლით ადრე. ნამდვილი პანკები. იმ პანკებმა მერე ამათ მიბაძეს. მთელი ეს No-Future-ი მაგარი ყალბია. მართლა. შეიძლება, თრეშიც ყალბია. მაგრამ, სულ ერთია. მოუსმინე, გენიალური კომპოზიციაა. აქ გაცისკროვნება ჰქონდათ. აბსოლუტური. ჩრდილოეთის ნათება ნახეს და როცა გაქრა, მერე დანერეს სიმღერა: "My baby's gone, and left me here to stay".
- იული:** (სცენის მიღმა) საინტერესოა...

სცენა იცვლება.

იგივე სურათი, როგორც მეორე სცენაში. განთიადი.
ავგუსტი კარვიდან გამოხოვდება. კამერა თან აქვს და
უფსკრულისკენ მიღის. ჩერდება, ხედს იღებს კამერით,
ძემდევ ნელნელა გადააქვს კამერა უფსკრულზე და
კამერის პატარა ღილაკით ახლოს მოჰყავს კადრი.
ბოლოს კამერას გამორთავს. იულიც გამოდის კარვიდან
და ავგუსტის გვერდით ჩერდება. დამენათევი სახე
აქვს და გამოსასვლელ ტანსაცმელშია გამოწყობილი
— ელეგანტური კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი
აცვია.

- იული:** რაღაცხაირი შავი დღეა დღეს.
ავგუსტი: დღეს დილით, რომ ჩამთვლიმა, დაშესიზმრა, სამყაროს
სათავესთან, უფსკრულის პირას ვიდექი, იქ, სადაც
ყველაფერი დაინყო და ქაოსის შექმნას ვუყურებდი.

--

- იული:** მოდი, დავამთავროთ ეს საქმე.
ავგუსტი: ჯერ შენ.
ავგუსტი რამდენიმე ნაბიჯით შორდება უფსკრულს და
კამერას იულისკენ მიშართავს.

- იული:** მოიცა. უკვე იღებ?
ავგუსტი: კი.
იული: არა. მოიცა. ეს ნაშალე.
ავგუსტი უკან ახვევს.
ავგუსტი: O.k.
იული: გამარჯობა, დედა, გამარჯობა, მამა... ფუ, შენი. არა, არ
გამოვიდა, ესეც ნაშალე.
ავგუსტი: O.k.
კამერა ირთვება.
იული: მზად არის? გამარჯობა, დედა, გამარჯობა, მამა,
გამარჯობა, ბებია, გამარჯობა, რუნქ. როგორც ხედავთ,
აქვარ, ამ ადგილას, სადაც... რა იყო?
ავგუსტი: “მზად არის” გინდა რომ ჩანდეს?
იული: რა თქმა უნდა, არა.

- ავგუსტი:** მაშინ თავიდან. მოიცა.
- იული:** O.k.-ს რომ გეტყვი, მაშინ დაინეუ, O.k.? O.k...
გამარჯობა, დედა, გამარჯობა, მამა, გამარჯობა, ბებია,
გამარჯობა, რუნე. ხო... როგორც ხედავთ, ამ ადგილას
ვარ, სადაც ერთად ვიყავით ჩემს პატარაობაში. მამა, შენ
იქ ტერფებით გეჭირე, რომ უფსკრულში გადამეხედა,
იმიტომ, რომ გეშინოდა, არ გადავვარდნილიყავი...
- ავგუსტი:** რა იყო?
- იული:** გამორთე.
- ავგუსტი:** რა მოხდა?
- იული:** არაფერი. მე... მოიცა, აბა, მაჩვენე, როგორი გამოვიდა.
- ავგუსტი:** მთლიანად?
- იული:** არა, მარტო ბოლო.
ავგუსტი უკან ახვევს. ეკრანზე იულის გხედავთ,
რომელიც ამბობს „..მამა, შენ იქ ტერფებით გეჭირე, რომ
უფსკრულში გადამეხედა, იმიტომ, რომ გეშინოდა, არ
გადავვარდნილიყავი...“
- იული:** არა, საზიზღრობაა.
- ავგუსტი:** რა ვიცი. მე მომენტინა უს სინჯი.
- იული:** მაგარი პათეტიკური არ არის?
- ავგუსტი:** რა ვიცი. ესეც ხომ განსაკუთრებულია, რაც აქ ხდება.
გააგრძელე და მეორე ვერსიაც ხომ შეგვიძლია,
ჩავწეროთ.
- იული:** O.K. შეგიძლია იქიდან გააგრძელო?
„გადავვარდნილიყავი“-ს მერე?
- ავგუსტი:** ეი, მოიცა... O.k.
- იული:** O.k.-ს მე ვამბობ.
- ავგუსტი:** O.k.
- იული:** O.K. ... დღეს აქ იმიტომ ვარ, რომ, მინდა ის გავაკეთო,
რაც მაშინ არ გამიკეთებია. დღეს მე აქედან გადავხტები.
პრინციპში, მე ახლა უკვე მკვდარი ვარ. (ცდილობს,
სიცილი დამალობს). ამ მომენტში, როცა ამას თქვენ
გეუბნებით, მე უკვე მევდარი ვარ. (იცინს). მაგარი
გიუური წარმოსადგენია, შეგიძლიათ დამიჯეროთ.

(უფრო მეტს იცინის) მაგრამ, ეს უკვე იცით. წინააღმდეგ
შემთხვევაში ამ ვიდეოს... მოკლედ... ჯანდაბა, ახლა
აზრი გამინება.

ავგუსტი: გამოვრთავ, ხო?

იული: არა! რატომ?

ავგუსტი: მე ვიფიქრე, რომ ეს სიცილი...

იული: იქნებ, სწორედ რომ კარგი იყო ახლა აქ ეს სიცილი,
რაღაცნაირად მანუგეშებელი! იქნებ, სწორედ ასეთი
წუხუბია ხოლმე მანუგეშებელი.

ავგუსტი: მაგრამ, ცოტათი შემზარავი ხომ არ იყო?

იული: შემზარავი?

ავგუსტი: ცოტათი.

იული: არა უშავს. შენ გააგრძელე.

ავგუსტი: მაშინ ახლა ცოტა კიდევ უნდა გაიცინო, გადასვლისთვის.

იული: რა გადასვლისთვის?

ავგუსტი: თანმიმდევრულობა რომ არ დაირღვეს.

იული: ეს ხომ გაჭრილი კადრია.

ავგუსტი: კი, მაგრამ ამ კადრის შერე გაგრძელება მოდის. ასე რომ,
იქ უნდა გაგრძელდეს, სადაც შეწყდა.

იული: არა, ეს უფრო შერე გრძელდება. ამიტომაც, ახლა აღარ
გავიცინებ. შენ არ შემაწყვეტინო, კარგი? მარტო მე
თვითონ შეიძლება რომ შევწყვიტო, O.k.?

ავგუსტი: O.k.

იული: O.k.

ავგუსტი: ვიდებ.

იული: ამის შერე აღარაფერი იქნება.

--

იული: ამის შერე აღარაფერი იქნება. მორჩა, ამ დახაწყისის
შერე აღარაფერი გამოვა.

--

იული: გეხშის?

--

- იული:** გამორთე ეგ კამერა.
- ავგუსტი:** რა იყო? ეს მაგარი იყო ახლა. ეს სიჩუმე. უფრო მეტი პაუზები უნდა გააკეთო, მაგრა ჯდება. კამერას გამორთავს.
- იული:** "ვიღებ" არა, O.k.-ს მერე "ვიღებ" არ მოდის, O.k.-ს მერე მე მოვდივარ.
- ავგუსტი:** მე რამე ვთქვი?
- იული:** კი. შენ თქვი - "ვიღებ" –ო. მაგრამ, ისედაც ხომ ყველასთვის ცხადია, რომ იღებ, ნინაალმდევ შემთხვევაში ხომ ვერ გაიგონებდნენ ამას.
- ავგუსტი:** ნუ ხარ რა, ასეთი მეწვრილმანე.
- იული:** ყოველდღე კი არ ვიკლავ თავს, ეს ოხერი. მინდა, რომ კარგი გამოვიდეს.
- ავგუსტი:** O.k.
- იული:** O.k.
კამერას ჩართავს.
- იული:** მცირე ხნით ვწყვეტით გადმოცემას რეკლამის გამო. Shop till you drop, თქვენი დედაც! დიახ და ევლავ პირდაპირ ეთერში ვართ, რათა ვიხილოთ, საკუთარი ნებით როგორ დატოვებს მათთვის მიბარებულ სიცოცხლეს ეეროპული წარმოების ორი ნორჩი, უმანკო, საშუალო კლასის ადამიანი.... O.K. მიდი, წავიდა... O.K.
- ავგუსტი:** რა იყო?
- იული:** O.k. მეთქი, გითხარი. ესე იგი, ახლა კამერა უნდა ჩართო.
- ავგუსტი:** ჩართულია, რამდენი ხანია.
- იული:** ჩართულია, რამდენი ხანია. მოკლედ... არ მინდა, იფიქროთ, რომ არ ვიცი, რას ვაკეთებ. პირიქით, ძალიან კარგად ვიცი. აქ მყავს ერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ეს დაადასტუროს. ის, ვინც კამერის უკან დგას, ჩემი საკუთენესო მეგობარია, ავგუსტი. მე ის მიყვარს, ძალიან მაგრად. გამოჩნდი.
- ავგუსტი საკუთარ სახეზე მიმართავს კამერას და იკრიჭება.
- იული:** ხო, რუნე, ეს ავგუსტია. შენ ახლა, ცხადია, ფიქრობ -

ტიპიური უილბლოსაეით გამოიყურებაო. მაგრამ, ამას დიდი ძალისხმევა ჭირდება, რომ შეძლო, იყო უილბლო. დაფიქრდი ამაზე. დიდი მიღწევაა, ეს თუ შეძელი.

ავგუსტი კი – ყველაზე უილბლოა უილბლოთა შორის. ნუ იცინი, ამიტომაც მიყვარს. არ მინდა, რომ რამე დაემართოს. ამიტომ, ერთად გადავხტებით. ხელებს ჩავკიდებთ ერთმანეთს და არ გავუშვებთ, სანამ სულ ქვევით არ ვიქნებით.

ავგუსტი: მოიცა...

კამერას გამორთავს.

იული: რა?

ავგუსტი: რა ვიცი. არ სჯობს, რომ ერთმანეთზე ცოტა თავი შევიყავოთ?

იული: როგორ?

ავგუსტი: ხო, რა ვიცი, მაგრუნეს არ ვიცნობ და ვერ გეტყვი, რამდენად მინდა, რომ მას რაღაც დარჩეს ჩემგან. ვითომ, უილბლო რომ ვარ და ასე შემდეგ. არ ვიცი.

იული: კი მაგრამ, ამას ხომ მხოლოდ ჩემსა და მას შორის ვალისხმობ. მე ხომ არ ვამბობ, რომ ზოგადად უილბლო ხარ. ამას მარტო რუნეს და ჩემს შორის ვამბობ. მე და შენ შეგვიძლია, ცალ-ცალკე კასეტები ჩავნეროთ.

ავგუსტი: კი, მაგრამ ეგ სულ ერთია. პრინციპში, მე ხომ არაფერი მაქვს იმასთან საერთო, შენ რომ თავს იკლავ, შინაარსობრივად რომ შევხედოთ..

იული: მოდი, ჯერ სათქმელს დავამთავრებ.

ავგუსტი: კარგი. მერე კიდევ ერთი ვერსია ჩაწერე ჩემს გარეშე.

იული: თუ ასე გინდა, კარგი. მოკლედ. სად ვიყავი?

ავგუსტი: ერთმანეთს ხელს არ გაუშვებთ, სანამ სულ ქვევით არ ვიქნებით.

იული: ხო. ხო, აი. შენ კიდე მეუბნები, ჩემს გარეშე ჩაწერე ერთი ვერსია. შენს გარეშე ვერსია არ არსებობს. წავიდა, გავაგრძელოთ. ესე იგი... O.k...

კამერა ჩაირთო.

იული: ხო. ეს ყოველთვის ჩემი ოცნება იყო, მინდა გითხრათ. ყოველთვის მინდოდა, საყვარელ ადამიანებთან

ერთად მოვმკვდარიყავი. ერთდროულად, რომ სხვისი დაკარგვა არ გამომეცადა. მოკლედ, ყოველთვის მხოლოდ ერთის წარმოდგენა შემეძლო – თქვენთან, ყველასთან ერთად მოვმკვდარიყავი. პირნიკის დროს. ყველანი ერთად. “მეტეორის ჩამოვარდნამ ოჯახი იმსხვერპლა და სტადიონის სიდიდის ღრმული დატოვა”. არასოდეს შემეძლო წარმომედგინა, რომ რომელიმე ჩვენგანი დანარჩენებზე ადრე მოკვდებოდა. ხო. ახლა გადავწყვიტე, ყველას დაგასწროთ. მაპატიეთ. საქმე შემდეგნაირად არის. მამა, მაშინ რომ მიჭერდი, ტერფებით, ძალიან კარგი გრძნობა იყო. თქვენი დამსახურებით ყოველთვის მქონდა ეს კარგი გრძნობა, როცა მჭირდებოდა. თქვენ ძალიან კარგი მშობლები იყავით, მეტი რომ არ შეიძლება. იმიტომ, რომ თქვენ მე ყოველთვის ტერფებით მიჭერდით, თქვენ, ჩემი მეგობრები და ამხანაგები... შემეძლო, სამყაროს ყველა უფსერულში გადამეხედა და არაფრის შემშინებოდა, რადგან თქვენ მყავდით. ამისთვის მაღლობელი ვარ თქვენი, ყველასი, რადგან მშვენიერი ცხოვრება მქონდა, თქვენი წყალობით. ყველაფერი ვნახე, მთელი სამყარო შევისრუტე და ყველაფერი მივიღე, რაც კი არსებობს. არაფერი იყო მიუწვდომელი. ყველგან ვიყავი, დანარჩენი ფილმებში ვნახე, ცეცხლოვან მიწაზე ვიყავი, აბორიგენებთან, მზის ამოსვლას ვუყურებდი, მაკლონალდაში ფქამდი და პრადაში დაცდიოდი საყიდლებზე ან პირიქით, ბევრს ფუუკარდი, დიდი მოთხოვნილება იყო ჩემზე, აფროსნობა შევისწავლე, გოლფის თამაში ვიცი, ინფორმატიკაში საუკეთესო ვიყავი, კომპიუტერული თამაშები შევქმენი, ფული გავაკეთე, ყველაფერი გავაკეთე, რაც სიამოვნებას მანიჭებდა, სვირინგი მაქვს, აი, აქ.... ყველანაირი ნარკოტიკი გავსინჯე ამქვეყნად, ისე რომ არ გავნადგურებულეარ და ბიჭებთანაც მქონდა ამბები, ბრედ პიტთან გავატარე ერთი ლაპე, მართალია, დიდი არაფერი ყოფილა, მაგრამ საინტერესო იყო, სოციოლოგიური თვალსაზრისით. ეს მაშინ იყო, მარტო რომ გამიშვი ნიუ-იორკში, რუნე. მაპატიე, მაგრამ ერთ

თვითმფრინავში ვისხედით. შენ ჩემი დიდი სიყვარული
იყავი, რუწე, და ეხლაც მიყვარხარ, მიუხედავად
იმისა, რომ ყველგან და ყოველთვის გამარჯვებულ
ტიპად ჩამოყალიბდი. თავს გაუფრთხილდი.. ხო,
ყველაფერს თავის დრო აქვს. მოკლედ: თქვენ მთელი
სამყარო ლანგარით მომართვით, მე ყველაფერს
გემოს ვუსინჯავდი და მამინვე უკან ვაფურთხებდი.
იმიტომ, რომ ერთი მეორეს ვერასოდეს შეცვლის. ჩემი
ცხოვრება...

უფრო სწორად, ჩემი ნარსული ძირითადად
განუხორციელებელი, არშემდგარი მომავლისგან
შედგება. ძალიან დიდი ხანი ვერ ვხვდებოდი ერთს...
ვერ ვხვდებოდი, რომ მხოლოდ ერთი გზა არსებობს
ყველაფრის მისაღებად: არაფრის სურვილი. მხოლოს ასე
შეიძლება ყველაფრის ქონა - როცა არაფრის სურვილი
არ გაქვს. მე მგონი... ახლა უკეთ აღარ მინდა არაფერი.
ყველაფერი მიყიდვება და აღარაფრის მოთხოვნილება აღარ
მაქვს. ჯერ არასდროს მდომებია რამე ასე, როგორც
ახლა მინდა არაფერი. არ ვიცი, გესმით ეს თუ არა.
ყოველ შემთხვევაში, არც ერთ თქვენგანს არ შეუძლია
ჩემთვის არაფრის მოცემა, არავის შეუძლია, ჩემს გარდა,
ხო, ერთი რამე მინდა კიდევ, ლამაზი სიკვდილი მინდა,
მინდოდა თქვენ ყველას დაგმშვიდობებოდით და მაგრად
ჩაგხუტებოდით, მენუგეშებინეთ და მეთქვა, რომ
ყველაფერი კარგად იქნება და... იმიტომ რომ, მე თქვენ
... რომ თქვენ.... რომ მე... იმიტომ რომ... გამორთე ერთი...

კამერა გამოირთვება.

- იული:** კაცმა რომ თქვას, სრული იდიოტი ვარ, ახლა ვხვდები.
ავგუსტი: რატომ?
იული: მარტო ჩემს თავზე ვლაპარაკობ..
ავგუსტი: ხო, მაგრამ, ეს ბოლო შემთხვევაა.
იული: და ბოლო სიჩლუნგე. ასე არ გამოვა. ამას ვერ გავაკეთებ.
ახალი კასეტა ჩადე.
ავგუსტი ახალ კასეტას დებს.

- ავგუსტი:** ჩემი აზრით, ცუდი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკეთესად მესმის შენი. თავის მოკვლა რომ გინდა და ასე შემდეგ. მესმის, სერიოზულად.
- იული:** კი მაგრამ, ეს ხომ შაგარი სისულელები მოვწმახე. ვითომ ყველაფერი რომ მივიღე უკვე და ეგეთები, რომ მთელი ქვეყანა ფეხებით მიჭრდა, უფსერულში რომ გადამეხედა. რა იდიოტობაა. აბსოლუტური იდიოტობა. თვალებში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი.
- ავგუსტი:** ხო, მაგრამ, საერთო ჯამში..
- იული:** თავიდან.
- ავგუსტი იღებს იულის.
- იული:** გამარჯობა, ხალხი. ისეკ მე ვარ... ხო. არ ვაპირებ, რამე ვისაყვედუროთ. ამას ის აკეთებს, ვისაც ცხოვრება არ ეომობა. უბრალოდ, მინდა დაგემმვიღობოთ. ხო და გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, რადგან, ადრევე რომ მივმხვდარიყავი, რომ მეც იმდენივე სისუსტე და ნაკლი მაქეს, რამდენიც თქვენ, ადგილზე მოვიყლავდი თავს. კარგით? ასე რომ, კარგა ხანს გამიძლია. ხო. ასე რომ...
-
- ავგუსტი:** გამოუკრიცა.
- იული:** მე დავამთავრე.
- ავგუსტი:** ხო. არ ვიცოდი, ძალიან მოკლე იყო.
- იული:** საზიზლრობა იყო. შენი ჯერია.
- ავგუსტი კამერას ანგდის იულის.
- ავგუსტი:** არა, მოიცა, არ ვიცი, მოვაბამ თუ არა თავს ასე უცბად.
- იული:** მე მზად ვარ.
- ავგუსტი:** კარგი, ნავიდა.
- კამერა ჩაირთვება.
- აეგუსტი გამარჯობა, ჩემო კარგებო. მე ვარ... მე... მოკლედ... ყოველთვის მინდოდა, რაღაცის ნაწილი ვყოფილიყავი, ცხოვრების, რამე ისტორიის, მაგრამ ამაევ დროს... ჯანდაბა. მაპატიით. ხო. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება არაფრის გამოწვევა არ მდომებია, არასოდეს მქონია მოთხოვნილება, რამის მიზეზი

ვყოფილიყავი. შეიძლება არსებობს რამე სიტყვა, რომელიც ახლა გამომაღებოდა, მაგრამ ამ წუთში არც ერთი არ მახსენდება. თუმცა, კი. ლაჩარი. მე ლაჩარი ვარ. აღბათ. ჩემი ერთადერთი სიმამაცე დღემდე იმაში მდგომარეობდა, რომ თავი არ მოვიკალი. მუდმივად იმის შიშმი ვიყავი, რომ რამე უბედურება დამატყდებოდა თავს. ამან საკმაოდ მომიშხამა ცხოვრება. ხო.

აშიტომ, დღეს ჩემს ბედისნერას დავასწრებ და დაბლა გადავეშვები. უბედურებას მანამდე გადავიყრები, სანამ თესათხ დამტყდომია თავს. ხო. მოკლედ.... ნუ განიცდით, კარგით? შეიძლება ბედიირებაც კი იყოს ეს უბედურება. უი, ხო, თევზისთვის საჭმელის ჩაყრა არ დაგავინყდეთ. ხო. კარგად.

კამერა გამოირთვება.

იული: თევზი გეაეს?

ავგუსტი: ხო, ნამოყვანა მინდოდა, მაგრამ მერე ვიფიქრე, თვითმფრინავში მეოქი... და თანაც მარილიანი ნყლის თევზია.

იული: მერე აქ მარილიანი წყალია.

ავგუსტი: სერიოზულად?

იული: ფიორდია.

ავგუსტი: ხო. ჯანდაბა ამას, რა ვქნა. იმედია, აქმევენ ხოლმე. მაჩენე, როგორი გამოიდა. უნდა წარმოიდგინო, რომ შენი მშობლების ადგილზე ხარ და ამას უყურებ.

ავგუსტი კამერას იდებს და უკან ახვევს. კიდევ ერთხელ ვხედავთ და ვისმენთ გადაღებულს. ისინი თვალმოუშორებლად უყურებენ კამერის საკონტროლო მონიტორს.

იული: ადგილზე მოვიკლავდი თავს. კარგით? ასე რომ, კარგა ხანს გამიძლია. ხო. ასე რომ... აბა, კარგად.

ავგუსტი: გამარჯობა, ჩემი კარგებო. მე ვარ... მე... მოკლედ... ყოველთვის მინდოდა, რაღაცის ნაწილი ვყოფილიყავი, ცხოვრების, რამე ისტორიის, მაგრამ...

ავგუსტი კამერას გამორთავს.

ავგუსტი: რაღაც, არა რა. რაღაც, ყალბად უღერს. არა, ამას ვერ

- გავაკეთებ. მთელი ცხოვრება ასეთი ტყუილისთვის ხომ არ მიცხოვრია. უპრალოდ არ შეიძლება აქ ასეთი რაღაცის დატოვება, ასეთი ყალბის.
- იული:** ეს კიდევ ერთხელ უნდა ვნახოთ. დაშიპნოზებულივით ვდგავარ.
- ავგუსტი:** მე კიდევ რეებს ვლაპარაკობ. რაღაც... არ ვიცი.
- იული:** ხო, ეგეც მართალია. მაგრამ, მე რას ვგავარ, ყველაფერთან ერთად.
- ავგუსტი:** ეგ ნორმალურია.
- იული:** რანაირად?
- ავგუსტი:** ახალ გალვიძებულზე.
- იული:** ზედმეტად დეპრესიულია. რომელიდაც სექტის ჩეკერს ვგავარ. არა, ეგ არ მინდა. არ მინდა იფიქრონ, რომ სრულ ჭკუაზე არ ვიყავი, ან რამე ასეთი. მითხარი, ის ხომ სისულელე იყო, ლაჩარზე რაც თქვი.
- ავგუსტი:** ხო, რა ვიცი...
- იული:** რატომ ამბობ ასეთ რაღაცებს?
- ავგუსტი:** რომ ვანუგეშო. მე ვფიქრობდი, რომ როცა ლაჩარი თავს იკლავს, რაღაც მანუგეშებელი არის ამაში.
- იული:** კი მაგრამ, არ ვინდა, სიმართლე უთხრა? ამ სიყალბის ნაცვლად? ახლა ხომ მშვენიერი მომენტია საამისოდ. გარდა ამისა, სულაც არ მინდა, ლაჩართან ერთად გადავხტე.
- ავგუსტი:** ხო. ხო. უაზრობა იყო.

კამერა ჩაირთო.

- იული:** (მოჩვენებითი დაუდევრობით) ხალხო. მე მომბეზრდა. თქვენ ამას ვერ გაიგებთ. ამიტომ, ბევრს აღარ ვილაყბებ. აბა, კარგად.

- ავგუსტი:** იყო ამაში რაღაც. ასე, მოკლედ რომ თქვი.

- იული:** თავიდან.

კამერა ჩაირთო.

- იული:** გამარჯობა, დედა. მამა, შენ ცოტა ხანში

დაგიპრუნდები...

- იული:** არა. ეს დახანყისი არ არის. მოიცა, მოიცა. არ გამორთო. დედიკო, მამიკო, მე აქ ვარ, ავგუსტითან ერთად. ავგუსტი ჩემი ახალი მეგობარია. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს.
- იული:** ფური, ამისი... ჯანდაბა, მართლა. არ გამომდის. მოდი, შენ სცადე.
- ოული კამერას გამოართმევს.**
- ავგუსტი:** ხო, მოიცა. ესე იგი.. O.k. ხალხო. მაპატიუთა, ასე რომ მოგექეცით. მაგრამ, ამ დროს თქვენზე მაინცდამაინც არ მიფიქრია. ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთი იყავით ამ მომენტში, რომელიც ახლა უნდა დადგეს. ეს არის სიმართლე...
-
- ავგუსტი:** რა ვიცი, ხულ ერთი იქნებიან თუ არა ჩემთვის იმ მომენტში? მოიცა, კიდევ ერთხელ... O.k.?
- ავგუსტი:** ხალხო, თქვენ წარმოდგეხავ კი არ გაქვთ, როგორია ჩემს ადგილას ყოფნა. საშინელებაა, მართლა გეუბნებით. ნორმალური გამოხამშვიდობებელი სიტყვისთვისაც კი ვერ მომიბამა თავი. შეიძლება, გააფრინო, ამიტომ წავალ ახლა.. აბა კარგად.
- კამერა გამოირთო.**
- იული:** ოღონდ სერიოზულად არ აპირებ ამის დატოვებას, ხო?
- ავგუსტი:** ყოველ შემთხვევაში, სიმართლე მაინც არის. არ ვიცი. მოიცა, აი, ახლა ვიცი, რაც უნდა ვთქვა.
- იული:** O.k.
- ავგუსტი:** ძეირფიასო დედა, მამა, ძმაო და მთელო დანარჩენო ქვეყნიერებავ. საერთო ჯამში... ცივი გონებით რომ განესაჯოთ, შეუძლებელია განსჯის უნარი არ დაქარგო. კარგად იყავით...
- კამერა გამოირთო.**
- იული:** არ ვიცი... იქნებ, ჯობდეს, კამერა უბრალოდ აქ დავდოთ, კამერის ნინ დაუდგეთ, რაღაცა ვთქვათ უცბად და

ნავიდეთ.

ავგუსტი: ხო.

იული კამერას დადგებს და ჩართავს. ორივენი კამერის
ნიხ დადგებიან და ხელებს ჩაჰეთდებებს ერთბახეთს.

იული: მე თქვენ მიყვარხართ.

ავგუსტი: მეც.

ისინი ხელჩაკიდებულები მიღიან უფსკრულისკენ.
თითქმის უფსკრულის კიდემდე მის ულები:

იული: ეს პათეტიკაა.

ავგუსტი: რაღაცნაირად, ხო.

იული: თან, მთელი აეამდე ჩანერილი რაღაცებიც ზედ არის
დარჩენილი.

ავგუსტი: ხო.

ავგუსტი იხევ გამორთავს კამერას.

ავგუსტი: იქნებ ცოტა მუსიკა დაგვედო?

იული: მუსიკა?

ავგუსტი: რა ვიცი, გასაცორწებლად. უონივით.

იული: მოიცა, რაღაც მაქვს ნამოლებული. ეს ყოველთვის
მანუგეშებდა, როცა ცუდ ხასიათზე ვიყავი.
იულის მაგნიტოფონი გამოაქვს კარვიდან.

იული: საქმე იმაშია, რომ სულაც არ მიმიღია ყველაფერი
ცხოვრებაში. ამაშია საქმე. არ ვიცი. ჩემი არცერთი
სიტყვა აღარ მჯერა. წუხანდელი ჩრდილოეთის ნათება...
ჩრდილოეთის ნათება აქამდე ნანახი არ მქონდა. ეს
ოხერი. გუშინ რომ გადაკმხარიყავით, მთლიანად
გამოყოფილი იმ იდიაზურ ნასუჟას. არაუკრიც არ
მაქვს ნანახი. აი. მოიცა. აი ეს. მეექვსე. მზად ხარ?

ავგუსტი: კი.

იული: O.k., ჩართე.

კამერა ირთვება. იული დისკს რთავს (BILL FRISELL-ის
“egg radio”). რაღაცის თქმა უნდა, დიდხანს იუურება
კამერაში, ბოლოს მხოლოდ ტირის. სიმღერა გრძელდება.
იული მაგნიტოფონს გამორთავს.

- იული:** მაპატიე.
- ავგუსტი:** გინდა, კიდევ ერთხელ?
- იული:** არა. მე მგონი, უბრალოდ არ შემიძლია. ხომ არ შეიძლება, ასეთი ძნელი იყოს დამშვიდობება.
- ავგუსტი:** მოდი, კიდევ ერთხელ ვცდი.
- ავგუსტი იულის აძლევს კაზურას.
- ავგუსტი:** O.k.?
- იული თავს უქნევს.
- ავგუსტი:** (დაფიქრებული) თუვი სიკვდილი საშინელებაა და ალბათ ასეც არის, რატომ ხდება, რომ ამ ქვეყნიდან ნასული ჩვენი ყველა მეგობარი გარკვეული დროის შემდეგ ბედნიერად მიგვაჩნია?
-
- ავგუსტი:** ცხოვრება ჩემთვის პრობლემაა, რომლის გადაჭრაც ყოველდღე ხელახლა მიწევს. ჩემს ყველაზე ფარულ ინსტინქტებს რომ მივყოლოდი, დილიდან დალამებამდე შველის სათხოვნელად უნდა მეყვირა.
-
- ავგუსტი:** მთელი ჩემი წინააღმდეგობები იქიდან მოდის, რომ შეუძლებელია იმაზე მეტად გიყვარდეს ცხოვრება, ვიდრე მე მიყვარს, ამავე დროს თითქმის მუდმივად გარიყულად და მიტოვებულად გრძნობდე თავს.
-
- ავგუსტი:** ნლების მანძილზე ჩემი თავის მიღმა ვცხოვრობდი და უბედური ვიყავი. მაგრამ დღეს.. დღეს ბედნიერი ვარ. ალბათ ჭეშმარიტი ბედნიერება იმის გაცნობიერებაა, რომ შენი თავი აღარ გჭირდება.
-
- კამერა გამოირთო. იული აღფრთოვანებულია.
- იული:** ამინ. გენიალური იყო!
- ავგუსტი:** ჯანდაბა...
- იული:** შენ პოეტი ხარ. საიდან მოგაქვს ასეთი რაღაცები?
- ავგუსტი წიგნს გამოიტანს კარვიდან.
- იული:** ისე გულწრფელად ჟღერდა. გული ამიჩუყდა.

- ავგუსტი:** არა. სხვისგან იყო მოპარული.
- იული:** სულ ერთი არ არის?
- ავგუსტი:** არ გიცი.
- იული:** ეს შეგვიძლია ესე დავტოვოთ.
- ავგუსტი:** შენი აზრით, სულ ეს იყო?
- იული:** ხო, არა?
- ავგუსტი:** არა. ეს მოპარული იყო, არ ითვლება. მე რამე ჩემი მინდა ვთქვა.
- იული:** კარგი. ოლონდ ისევ ესე ჩაფიქრებულად უნდა დაიჭირო თავი, მაგარი გამოდია.
- ავგუსტი:** თავი უნდა დაეიჭირო რამენაირად?
- იული:** კი. მაგარი დამაჯერებელი ჩანდა, დამიჯერე.
- ავგუსტი:** შენ გინდა მითხვა, რომ რაღაც უნდა ვითამაშო?
- იული:** ასე გამოდის.
- ავგუსტი:** რომ დამაჯერებელი გამოწინდეს?
- იული:** ხო, აქედან ასე ჩანს.
- ავგუსტი:** ნალდად?
- იული:** კი მეთქი, ხომ გითხარი.
- ავგუსტი:** ყალბი უნდა ვიყო?
- იული:** თუ რაც ახლა ატკი სიყალბე იყო, მაშინ კი.
- ავგუსტი:** სიყალბე იყო. მთლიანად ვითამაშე.
- იული:** ნამდვილს ჰგავდა.
- ავგუსტი:** კი მაგრამ, ეს თუ... ეს თამაში იყო!
- იული:** მერე რა? როგორც ჩანს, აუცილებელი არ არის, თამაში ყოველთვის ყალბი იყოს. სიყალბე საკმაოდ ნამდვილიც შეიძლება იყოს ხანდახან.
- ავგუსტი:** სიყალბე შეიძლება ნამდვილი იყოს?
- იული:** ხო. ყალბი მხოლოდ ის არის, რაც არაფერია. აი, რა არის სიყალბე.
- ავგუსტი:** ამას შენ ამბობ?
- იული:** მე ვამბობ.
- აეგუსტი:** ყალბი მხოლოდ ის არის, რაც არაფერია.

- იული:** ხო.
- ავგუსტი:** კი მავრამ, არაფერი ხომ საერთოდ არაფერია.
- იული:** კი ასეა.
- ავგუსტი:** ესე იგი, არაფერია ყალბი.
- იული:** დიახ.
- ავგუსტი:** ესე იგი, ეს ყველაფერი ახლა სერიოზულად უნდა მივიღოთ?
- იული:** ასე გამოდის. (იცინის)
- ავგუსტი:** შენ ხუმროპ.
- იული:** არა. ახლა არა, სწორედ ამ წუთას არა. (იცინის)
- ავგუსტი:** ეს ყველაფერი ახლა სერიოზულად უნდა მივიღოთ?
- იული:** შენ ეანკალებ.
- ავგუსტი:** ხო. შეშინია.
- იული:** რისი?
- ავგუსტი:** მომავლის.
- იული:** რომელი მომავლის?
- ავგუსტი:** ჩემი მომავლის. არ ეიცი. ჩემს მომავალს ადრე არასოდეს შეცუშინებივარ, რადგან ვიცოდი, ყოველთვის შემძილო თავი მომეკლა. გუსმის? მაგრამ ახლა...
- იული:** მაგრამ ახლა?
- ავგუსტი:** ახლა უცებ აღარ ვარ დარწმუნებული, რომ ეიდევ შემძილია თავის მოკვლა, გესმის?
-
- იული:** მიდი.
- ავგუსტი:** O.k.
- კამერა ჩაირთო.
- ავგუსტი:** გავიმარჯოთ, ხალხო. მე აქ ვარ დღეს, ხორვევიაში. სქვენ გითხარით, რომ მაცთან მიგდიოდი შაბათ-კვირას დასარჩენად, მაგრამ მოვატყუეთ. არ უნდა გამოგეშვით. მოკლედ, მაგრა გაგაცურეთ. იულიმ გადამიხადა ფრენის ფული. ხო და ლირდა კიდეც ამის გაპეტება. ესე იგი, ჩევნ ახლა აქედახ გადავხტებით... ანუ, ამისთვის ვართ აქ მოსულები. რომ ნავიდეთ,

მაგრამ ისედაც ლირდა ეს ყველაფერი, რადგან
ნამდვილად კარგი იყო აქ გატარებული მცირე დრო.
აქ, აღბათ პირველად ცხოვრებაში მართლა ვიგრძენი,
რომ ცოცხალი ვიყავი. გუშინ ჩრდილოეთის ნათება
ვნახეთ და გადავიღეთ. ასე რომ, თქვენც შეგიძლიათ
ნახოთ. ულამაზესი და უზარმაზარი სინათლე იყო.
თითქმის მთელი ცა მოიცვა და მე თქვენ გამახსენდით,
ვიფიქრე, ასეთი უზარმაზარია და თქვენ რატომ ვერ
უნდა იედავდეთ მეოქი შანდ ამ სიჩაოლეს. საქმე იმაშია,
რომ ვიდეოზე ბევრად უფრო პატარა და მუქი ჩანს,
თითქოს ბურუსი ეფარებაო. ეს მართლა უნდა ნახოს
კაცმა. ნამდევილად გირჩევდით ამას. არც იულის ჰქონდა
ნანახი. გამტერებულები ვიდექით. ხო. ეს ერთხელ უნდა
ნახოთ. მაგრამ, ძალიან იძვიათიაო, იული ამბობს. ხო.
ხო და... იული შეგობარია. იული. შე... ის... ბოკლედ, შე...
საერთოდ... ხო. მოკლედ, წესით მინდოდა... თქვენთვის
მინდოდა მეოქვა, რატომ ვაკეთებ ამას, რასაც ახლა
გავაკეთებ, მაგრამ... მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს
ამ წუთას. წარმოდგენა არ მაქვს. მაპატიეთ.

კამერა გამოირთო.

ავგუსტი: შენ გახსოვს?

იული: არა.

ავგუსტი: ხოდა, მაშინ..

იული: ხო.

ავგუსტი: მოიცადე.

ავგუსტი ყველა კახეტას ერთად აწყობს ჩანთაში და
უფსერულისეებ მიდის. იული შის ვეერდით დგას.
ერთმანეთს შეხედავენ. ავგუსტი ჩანთას გადაისვრის.
ისინი თვალს გააყოლებენ.

იული: ჩამოიკიდა.

ავგუსტი: შეიძლება ახლახანს ისეთი ბედნიერება დაგვატყდა
თავს, რომლისგანაც დიდხანს ვეღარ შოვითქვაპთ სულა.

იული: აქედან წასცლა მინდა.
ავგუსტი: მეც.

ორივენი გადიან.

დ ა ს ა ს რ ვ ლ ი

თარგმანი: მარიამ კერესელიძე